# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 7 აგვისტო 1997 №91 (456) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევმოსოთ მეფე!

დღეს მეცხრედ განახლდება ქართული საფეხბურთო სეზონი. ყველა ჩემპიონატი თავიდან დიდი მონდომებით, თითქოსდა ახლებურად იწყება, თავის კულმინაციას შუაწელში, I წრის ბოლოს აღწევს და მერე თავქვე ეშვება. საგაზაფხულოდ ზოგს პატრონი უგანებს, ზოგს სინდის-ნამუსი შემოაკლდება; უგან-ულალატებს და იწყება შეთქმულთა უნიჭოდ დადგმული მასკარადი, რომელზეც ვითომდა ყველა შენიღბული გამოდის, მაგრამ საკუთარ სახეს ვერავინ მალავს.

შიშვლდება, მჭვირვალდება გრძნობათა იმპერია, რომელსაც დევიზი ერთი აქვს — სხვამ რაც უნდა თქვას, წისქვილმა კი ფქვას. ამ დროს ყველა ნორმალური კაცს, გარედან მაცქერალს, სინანული ეძალება. სინანული იმისა, რომ სპორტის მეფე (ფეხბურთი) შიშველია.

რა იქნება წელს? რა იქნება გაისად? ახლანდელი გადასახედიდან პასუხი ერთია — უტყუარი და შეუმცდარი. ღმერთმა ქნას, ბოლოს სხვაგვარად იყოს, მაგრამ ვიდრე თავს მოვიტყუებდეთ, იმის იმედად ვიყოთ, რაც ნაღდია. ნაღდი კი ისაა, რომ წელსაც 16 გუნდი იპაექრებს თუმცა...

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ფიფა, სფფ და მრეტთა თავკაცი ისე გაჯიქდნენ, გამორიცხული არაა, „დინამო" მეორე ჯგუფში დააქვეითონ.

წარმოგიდგენიათ, ეს რა იქნება?

კი ბატონო, ჩემპიონატი არნახულ ინტრიგას შეიძენს, მაგრამ, ერთი, რომ „უდინამოოდ" ამ ინტრიგას სიმწვავე მოაკლდება, მეორეც — წინაც გავიხედოთ. ევროპულ სარბიელზე ჩვენი „დინამო" რა ბედენაა, რომ მის არყოფნაში გაჩემპიონებული გუნდი იყოს? მაგრამ ფიფა-უეფა ამას არად დაგიდევთ. ამათ ჩემპიონთა თასის მფლობელი „მარსელი" ორჯერ დააქვეითეს და თასთა თასის ოდინდელი მფლობელს დაინდობენ?



გაიოზ კოპალეიშვილის ფოტო

ესეც ვთქვათ, ევროპელებს სიკვდილივით არ უნდათ, „დინამომ" ახლა ლევერკუზენის „ბაიერი" რომ დაძლიოს და ჩემპიონთა ლიგაში შეიდეს. არ უნდათ, თუნდაც იმიტომ, რომ ლიგის მატჩს თბილისში ვერ ჩაატარებს. არა, აფხაზებთან ლამისაა პერმანენტული „ომი" აქ არაფერ შუაშია. ლიგის მატჩები ხორვატიაშიც ხომ ჩაატარეს. უბრალოდ, რა თავში იხლის ისეთ სტადიონს, რომელზეც სულ ცოტა 70 ათასი კაცი დაჯდება და ბილეთი კი ოდენ... 7777 გაიყიდება?

ჩვენ კი ჩვენიც ვთქვათ. „ბაიერის" ძლევა „დინამოსგანაც" გვეეჭვება და სხვამ რა წინა კბილები უნდა დააძროს? მოკლედ, ღმერთმა ნუ ქნას, ასე მოხდეს, თორემ...

15 აგვისტომდე „დინამომ" „მრეტები" რომ უნდა გაისტუმროს, დიდი დრო არაა დარჩენილი, მაგრამ დღეს ჩემპიონატი იწყება და „დინამო" გერმანიაში უდროო დროს რომ არ წასულიყო, „მეტალურგისთვის" უნდა ემასპინძლა. ესეც იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი გამოუცხადდებოდა.

ერთი სიტყვით, იმედი დავიტოვოთ, რომ „დინამოს" თავზე ევროპული ღრუბელი მალე გაიფანტება. თუმცა, ეს ძნელი იქნება, რადგან ჩვენმა ჩემპიონმა ნიჭიერ ახალგაზრდათა კრებულის გარდა, ერთბაშად გულუხვი (თურქ მსაჯებთან) და წუწკი („მრეტებთან") გუნდის სახელი დაიგდო.

ძალიან შევტოპეთ ევროპაში და „დინამოს" სატკივარით დავითუთქეთ გული, მაგრამ რა ვქნათ, თუკი ჩვენი დიდი სიხარული დიდი ტკივილიცაა. ამბობენ, ქართული ფეხბურთი მხოლოდ „დინამო" არ არისო. ასეც უნდა იყოს. მოდით, იმათ სამზადისსაც შევავლოთ თვალი, ვინც „დინამოსგან" რვაგზის დაპყრობილი მწვერვალის დასალაშქრად ემზადება.

ექსპედიციის მიზანზე ხმამაღლა ჯერ არც არავის განუცხადებია, თვით ყველაზე ამბიციურმა და რეალურმა კანდიდატმაც „ტორპედომაც" ორშაბათს ფაქტობრივად ვერშემდგარ პრესკონფერენციაზე მხოლოდ ეს თქვა: სამეულში მოსახვედრად და თასის დასაუფლებლად ვიბრძოლებო. თუმცა, ისიც ხომ ნათელია, რომ ფარის შემობრუნებისას პირველობაზე ყველაზე კოჭლი ცხვარიც არ იტყვის უარს და ვაცის ადგილს არ მოერიდება. მოკლედ, ჯერ არავინ იცის, შეძლებს თუ არა ვინმე „დინამოს" გარდა მწვერვალის დაპყრობას. მითუმეტეს, არავინ იცის, ამას ჟანგბადის ბალონით თუ მის გარეშე მოახერხებს. არც ის იცის, ვის რომელ ბანაკზე გამოელევა სარჩო-საგზალი და ვის მოაშთობს ბრწყინვალე სუსხი, ვის კი დაინდობს და შეივრდომებს.

და მაინც, შარშანდელზე უარესი რა უნდა იყოს? „კოლხეთი", „ბათუმი" და „მერანი" კი მოსუსტდნენ, მაგრამ „ოდიში" მოძლიერდა. „ტორპედო" უაშვეთიოდაც ძველებურადვეა. ამათ ვინმე კიდევ შეემატება, თუნდაც თსუ ან „ლოკომოტივი" და გაჩაღდება ბრძოლა, თავიდან მაინც.

გაჩაღდება და, მერე უნდა ვუდარაჯოთ მეფეს. როგორმე უნდა შევმოსოთ. თუნდაც იმიტომ, რომ ბოლოს ვინმეს გმირობის ფასად არ მოუხდეს შეყვირება: მეფე შიშველია!

ამას მხოლოდ წესიერებით, უშეღავათობით შევძლებთ. უამისოდ ორგუნდიანი ჩემპიონატიც საზიზღრობა იქნება.

**ვახტანგ გზირაძე**

თორმეტი გუნდის განაცხადი იხილეთ მეორე გვერდზე



ათენში ყველაზე შორს კუბელი ივან პედროსო გადახტა

# ბერძნები ტაშს არ იშურებენ

ილია ბაბუნაშვილი

ათენიდან



ათენში სამი ათასი უცხოელი ჟურნალისტია. ისინი მძლეოსნობის სპეციალისტები არიან, სულ იციან, ვინ სად, როდის, რამდენ მეტრზე თუ რამდენ საათსა, წუთსა და წამში. მათი უმრავლესობა მსოფლიოს ჩემპიონატზე სულ მცირე, მეორედ მაინცაა. არიან ვეტერანებიც, ყველა პირველობას რომ დასწრებიან. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს მათ უმრავლესობასთან გამოლაპარაკებას ვიჩემებდე, მაგრამ, ვისაც კი ვესაუბრე, იტალიელი იყო, ბერძენი, ებრაელი, გერმანელი თუ ქართველი („დრონის" რედაქტორი გიორგი ჩოჩიშვილი), უპირველესად ერთსა და იმავეს ამბობდნენ: ტრიბუნებზე საოცრად ცოტა ხალხიაო. მიზეზი კაცმა არ იცის. ჭკუასთან ყველაზე ახლოს ბერძენი კოლეგის ვარაუდი გახლდათ, აგვისტოა და მთელი ათენი ქალაქიდანაა გასულიო. ალბათ ამიტომ დადის სტადიონზე ასე ცოტა მაყურებელიო.

ისე კი, რას გაიგებ. უცნაური ხალხი ვართ ქართველები, ბერძნები და დანარჩენი ჩვენნაირები. აი, ბატონო, ბერძნები. კვირა საღამოს სტადიონი სანახევროდ ცარიელი დატოვეს (არადა, ასი მეტრის ფინალი იყო), ორშაბათს, სამუშაო დღეს კი საგრძნობლად მეტნი მოვიდნენ „ოლიმპიურზე". არა, ამინდი არაფერ შუაშია, ამინდი ერთნაირია, საღამოობით არა უშავს.

ერთნაირია ის სიხარულიც, გამარჯვებულები რომ განიცდიან. აქ, ათენში აშკარად ვგრძნობ, რა იოლად ვამბობთ ყოველდღიურ საუბარში: მსოფლიოს ჩემპიონი. არადა, რომ ჩავუკვირდეთ, საოცარი რამ გამოდის. გამოდის, რომ მთელს მსოფლიოში რაღაცაში ყველას სჯობიხარ. გამოდის, რომ შენს სიძლიერეს მილიარდობით ადამიანის თვალწინ ამტკიცებ და ჰიმნს, შენი ქვეყნის ჰიმნს, ამოდენა პლანეტას შენს პატივსაცემად ასმენინებენ. დიახ, ერთნაირია ჩემპიონთა სიხარული, მაგრამ ვეებერთელა. მას მე და თქვენ ვერასდროს განვიცდით, მას ერთეულები განიცდიან.

მაგალითად, ფრანგი ზანგი სტეფან დიაგანა 400 მეტრზე თარჯრბენში გახლდათ უბადლო. ოქროს მედალი მან 47,70 წამში მოიპოვა, მისმა მდევარმა სამხრეთაფრიკელმა ლეველინ ჰერბერტმა კი, მართალია, თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა (47,86) მაგრამ ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაო ამერიკელ ბრაიან ბრონსონს ერგო (47,88). მეოთხე ადგილზე გასული კაცის ხსენება, ერთი შეხედვით, უადგილოდ შეიძლება გეჩვენოთ, მაგრამ, ვგონებ, ეროვნული რეკორდის ავტორი, თანაც მსოფლიოში მეოთხე, ამას იმსახურებს — იტალიელმა ფაბრიციო მორიმ დისტანცია 48,05 წამში გაირბინა. ამ სახეობაში მსოფლიო რეკორდი კი ბარსელონის ოლიმპიადაზე ამერიკელმა კევინ იანგმა დაამყარა (46,78) და იგი ჯერჯერობით ხელუხლებელია.

400 მეტრზე მორბენალმა ქალმა, ავსტრალიელმა კატერინ ფრიმენმა ყველა გარბენში გააუმჯობესა შედეგი, რამაც ლოგიკურად მიიყვანა ოქრომდე. პირველ რაუნდში იყო 51,53 წამი, მეორეში — 50,75, ნახევარფინალში — 50,11, ფინალში კი 49,77. და მაინც, აღმოსავლეთგერმანელი მარიტა კოხის მიერ თორმეტი წლის წინ დამყარებულ მსოფლიო რეკორდამდე ბევრი დააკლდა. კოხის რეკორდი ხომ 47,60 წამია.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

# ანდრიაძე ამბობს და უარყოფს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ოთხი ფეხბურთელი, რომელთაც არ აღმოაჩნდათ პატრიოტიზმის გრძნობა, მოითხოვეს ძალიან ბევრი ფული და მოაწყვეს ღრეობა თვითმფრინავში, ჩამოაშოროს ნაკრებს.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ ნაკრების მწვრთნელს დავით ყიფიანს მოსთხოვა, რომ კახა ცხადაძე, გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი და გიორგი ნემსაძე ნაკრებში აღარ გამოიძახოს.

ანდრიაძის თქმით, ზემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელებს 14 ივნისს, პოლონეთთან 1:4 წაგებული მატჩის შემდეგაც კი არ გამოუვლენიათ ეროვნული გრძნობა.

„მათ მოითხოვეს ფული, რომელსაც არ იმსახურებდნენ. მერე კი, თბილისში გამოფრენისას, თვითმფრინავში ღრეობა მოაწყვეს" — განუცხადა ანდრიაძემ „როიტერს".

ფეხბურთელთაგან კომენტარის მიღება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

**REUTERS, 6 აგვისტო**

გუშინვე რედაქციაში დაგვიკავშირდა კახი ცხადაძე, რომელსაც შერისხვის შესახებ მხოლოდ გუშინ, „სპორტ-ექსპრესიდან" გაუგია. საქართველოს ნაკრების კაპიტნის თქმით, იგი ანდრიაძესაც შეეხმიანა, მაგრამ მას ვაჟკაცობა არ ეყო, საკუთარი ნათქვამი დაედასტურებინაო.

ნოდარ ანდრიაძის ინტერვიუ, რომელიც ამ ინფორმაციის გავრცელებამდეა აღებული,

იხილეთ მესამე გვერდზე

## წუხელ

**მძლეოსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები. სიმაღლეზე ხტომა: 1. ხავიერ სოტომაიორი (კუბა) 2,37; 2. არტურ პარტიკა (პოლონეთი) 2,35; 3. ტიმ ფორსაიტი (ავსტრალია) 2,35.

10000 მეტრზე რბენა: 1. ჰაილე გაბრისელასი (ეთიოპია) 27:24,58; 2. პოლ ტერგატი (კენია) 27:25,62; 3. სალაჰ ჰისუ (მაროკო) 27:28,67.

1500 მეტრზე რბენა: 1. ჰიშამ ელ გერუჯი (მაროკო) 3:35,83; 2. ფერმინ კაჩო (ესპანეთი) 3:36,63; 3. რეიეს ესტევესი (ესპანეთი) 3:37,26.

3000 მეტრზე წინაღობებით რბენა: 1. ვილსონ ბოიტ კიპკეტერი (კენია) 8:05,84; 2. მოზეს კიპტანუი (კენია) 8:06,04; 3. ბერნარ ბარმასაი (კენია) 8:06,04.

ათჭიდი: 1. ტომაშ დვორაკი (ჩეხეთი); 2. ედუარდ ჰამალაინენი (ფინეთი); 3. ფრანკ ბუსემანი (გერმანია).

ხუთი დღის შემდეგ მედლები ასე განაწილდა: აშშ — 3 ოქრო, 3 ვერცხლი, 4 ბრინჯაო; კენია — 2, 2, 1; გერმანია — 2, 0, 2; კუბა — 2, 0, 0; ჩეხეთი — 2, 0, 0; უკრაინა — 1, 2, 1; პორტუგალია — 1, 1, 0; სამხრეთ აფრიკა — 1, 1, 0; ავსტრალია — 1, 0, 1; მაროკო — 1, 0, 1; ეთიოპია — 1, 0, 0; საფრანგეთი — 1, 0, 0; მექსიკა — 1, 0, 0; დიდი ბრიტანეთი — 0, 2, 0; რუსეთი — 0, 1, 2; ესპანეთი — 0, 1, 1; კანადა — 0, 1, 0; ფინეთი — 0, 1, 0; იამაიკა — 0, 1, 0; პოლონეთი — 0, 1, 0; რუმინეთი — 0, 1, 0; უგანდა — 0, 1, 0; ბაჰამის კუნძულები — 0, 0, 1; ბელარუსი — 0, 0, 1; საბერძნეთი — 0, 0, 1; იაპონია — 0, 0, 1; ლიტვა — 0, 0, 1; შვეიცარია — 0, 0, 1.

**ფეხბურთი.** ამხანაგური მატჩები: შვედეთი — ლიტვა 1:0 (დალინი, 33), უნგრეთი — მალტა 3:0 (კოვაჩი 47, შებოკი 57, ლიპჩეი 90).

რუმინეთის ჩემპიონატის მეორე ტური: არჯესი — უნივერსიტატია (კრაიოვა) 1:0, დინამო — რაპიდი 0:2, ჩაპლული — ხტიაუა 1:2, უნივერსიტატია (ალუჟი) — ჟიული 3:0, სპორტული — ნაციონალი 0:1, გლორია — ოცელული 0:3, ფარული — რესიტა 1:1, პეტროლული — ბაკეუ 2:2, სინდია — ფორესტა 1:0.

გერმანიის ჩემპიონატის მეორე ტური: ვოლფსბურგი — ჰამბურგი 1:1 (პრაეგერი 33; შპიორლი 45), კაიზერსლაუტერნი — ჰერტა 1:0 (მარშალი 74), მიონხენგლადბახი — ბაიერნი 1:1 (პეტერსონი 17; შტრუნცი 55), დორტმუნდი — კიოლნი 3:0 (კოლერი 7, ჰერლიხი 37, ჰაინრიხი 75)

ავსტრიის ჩემპიონატი: ადმირა — აუსტრია 1:6, ტიროლი — ზალცბურგი 2:1 გრაცერი — ლინცერი 1:0, რაპიდი — ლუშტენაუ 1:0, რიდი — შტურმი 1:1

## გურია

| | |
|---|---|
| გიგა ბაბუნაშვილი | თ |
| ჯუმბერ ბერიძე | ნ |
| მამუკა ბულუხია | თ |
| ლაშა გაბუნია | მ |
| ალექსანდრე განევი | მ |
| რამაზ გვარჯალაძე | თ |
| თემურ გოგიჩაიშვილი | ნ |
| ოთარ ვარდანიძე | მკ |
| ოთარ თიბილაშვილი | მ |
| მერაბ კუკულაძე | მ |
| თემურ ლორია | მ |
| თენგიზ პატარაია | თ |
| ზვიად ძიძავა | ნ |
| თემურ ღურწკაია | მ |
| გია ჭელიძე | ნ |

მწვრთნელი: გია თავაძე
პრეზიდენტი:
ზაურ ფირცხალაიშვილი

## დილა

| | |
|---|---|
| ვახტანგ აკოფიანი | მ |
| ხვიჩა გაგნიძე | მ |
| ჯამბულ გაგნიძე | მ |
| ლევან გიჩაშვილი | ? |
| მიხეილ თაყაძე | ? |
| ჯიმშერ მარეხაშვილი | ნ |
| როინ მარლიშვილი | ნ |
| დავით მდივანი | მკ |
| ლევან მერაბიშვილი | ? |
| შალვა ტაბატაძე | თ |
| პაატა ფეზუაშვილი | ნ |
| ქრისტეფორე შატაკიშვილი | ? |
| ნიკოლოზ ჩალაძე | ? |
| გიორგი ჩიტაია | მ |
| თამაზ ციცქიშვილი | ნ |
| გიორგი წკრიალაშვილი | თ |
| ბაკურ ჯალაბაძე | ნ |
| რევაზ ხაჭაპურიძე | მ |
| ზვიად ხორგუაშვილი | თ |

მწვრთნელი: ვლადიმერ ელიაური
პრეზიდენტი: ზვიად შერმადინი

## თსუ

| | |
|---|---|
| ზურაბ ბათიაშვილი | მკ |
| ლავრენტი გაგუა | მ |
| გუგაზ დოლიძე | მკ |
| ალექსანდრე თელიაშვილი | მ |
| დიმა ვერემჩუკი | მ |
| ილია კანკავა | ნ |
| კახა კობესაშვილი | ნ |
| თენგიზ კობიაშვილი | მ |
| კოტე მელქაძე | ნ |
| ოთარ როსტიაშვილი | ნ |
| მამუკა რუსია | ნ |
| საჩილ სახვაძე | მ |
| ნოდარ სიდამონიძე | მკ |
| დიმიტრი სულთანოვი | მ |
| გიორგი ძორიძე | თ |
| ლაშა ყოლბაია | ნ |
| ჯონი შალამბერიძე | ნ |
| დავით ჩიგოშვილი | თ |
| შოთა ჩომახიძე | ნ |

მწვრთნელი: ოთარ გაბელია
პრეზიდენტი: ვალერიან ცხვარაძე

## მარგვეთი

| | |
|---|---|
| შალვა ბიწაძე | ნ |
| შოთა გოგაძე | ? |
| კახა კაკაბაძე | მ |
| გენადი კაციაშვილი | ნ |
| ილია მალაღურაძე | ნ |
| სერგო მელუა | ნ |
| რაჟდენ მერკვილიშვილი | მკ |
| კალენიკე მორალიშვილი | მ |
| გიორგი მოსიკაშვილი | ნ |
| მამუკა ნიქაბერიძე | მკ |
| გიორგი სახელაშვილი | ? |
| გოჩა სულაკაძე | ნ |
| ავთანდილ ფოფხაძე | მ |
| ვლადიმერ ფოცხვერაშვილი | თ |
| გიორგი ქურციკიძე | ? |
| ლევან შავგულიძე | თ |
| გიორგი ხელაძე | მ |

მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე
ვიცე-პრეზიდენტი: თემურ ნიქაბაძე

## მადნეული

| | |
|---|---|
| ლაშა აბრამიშვილი | მ |
| ჯურხა ასანიძე | მ |
| ჯუმბერ ბუიშვილი | ნ |
| ჯიმშერ გველესიანი | მკ |
| ივანე თოდაძე | მკ |
| დავით იობაშვილი | მ |
| დავით ლოლაძე | ნ |
| შმაგი მენაბდიშვილი | ნ |
| გოჩა მწყერაშვილი | თ |
| თემურ სამხარაძე | მ |
| ჯიბო სამხარაძე | ნ |
| კახაბერ ტეფნაძე | თ |
| მალხაზ ქაშაკაშვილი | მ |
| პაატა შეყილაძე | მ |
| მუხრან შეყლაშვილი | მ |
| ვასილ ჩიკვილაძე | თ |

მწვრთნელი: ამირან სევასტოპულო
პრეზიდენტი: გოგი ჩიკვილაძე

## მერანი

| | |
|---|---|
| ედიშერ ალადაშვილი | მ |
| სოსო ბაბულაიძე | თ |
| გელა ბაზისონია | თ |
| ვეფხია გვენცაძე | მკ |
| რომეო გოგიტაძე | მ |
| სულიკო დავითაშვილი | თ |
| შალვა ივანიშვილი | მ |
| ზაზა ინიაშვილი | ნ |
| დემურ კაკუბავა | მ |
| ბადრი კვარაცხელია | ნ |
| რევაზ ნაჭყებია | მკ |
| გელა ძორიძე | ნ |
| ზაზა ცქიფურიშვილი | მ |
| მალხაზ ჭინჭარაული | ნ |
| დავით ჯიშკარიანი | მ |

მწვრთნელი: ჯონი ჯანელიძე
პრეზიდენტი: ნუგზარ ნავაძე

## მორკინალი

| | |
|---|---|
| დიმიტრი აბაზაძე | მ |
| სულხან გახოკიძე | მკ |
| ვლადიმერ გოჩაშვილი | ? |
| კოტე გუგუნავა | მკ |
| კახა დვალიშვილი | ნ |
| ირაკლი ვაშაკიძე | მ |
| ირაკლი კაპანაძე | ? |
| დავით კველიშვილი | მ |
| გიორგი ლაპიაშვილი | მ |
| ვასილ მაისურაძე | თ |
| ირაკლი ნადირაძე | ? |
| დავით ცომაია | მ |
| კახა ჭუმბურიძე | ნ |
| ედიშერ ხევსურიანი | მ |

მწვრთნელი: ელგუჯა გუგუშვილი
პრეზიდენტი: დავით კერესელიძე

## კოლხეთი

| | |
|---|---|
| გია გიორგაძე | ნ |
| ელდარ გვასალია | თ |
| მამუკა გვასალია | მკ |
| კახაბერ გოროზია | მ |
| ბაადურ კაკაჩია | მ |
| ირაკლი მაკალათია | ? |
| ნუგზარ მიქაბერიძე | ნ |
| ელგუჯა პაპავა | მ |
| ვალერი ტორჩინავა | ნ |
| ზაველ ღაღანიძე | ნ |
| ზურაბ ქვაჩახია | მკ |
| მიხეილ ქობულაძე | მ |
| გოგიტა ქუნთელია | მ |
| ილო ქუტიძე | ნ |
| გელა ფანჩულიძე | ნ |
| ბიძინა ჩემია | ? |
| შალვა ჩხენკელი | ? |
| ჰამლეტ წივწივაძე | თ |
| ლუხუმ ჯაბუა | მ |
| თემურ ჯლამაძე | ? |

მწვრთნელი: სოსო ფილია
პრეზიდენტი: ვალერი გეგიძე

## ოდიში

| | |
|---|---|
| ბადრი ახვლედიანი | მ |
| ლევან ანჯაფარიძე | მ |
| გიორგი გაბელია | მკ |
| კახა ებრალიძე | მ |
| ზვიად ენდელაძე | თ |
| ლევან თოლორდავა | თ |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | თ |
| ჯუმბერ კალანდაძე | ნ |
| ზაზა კვეკვესკირი | ნ |
| ზაზა ლაცაბიძე | მ |
| პაატა ლურსმანაშვილი | მ |
| გიორგი რევაზიშვილი | ნ |
| რამაზ სოლოლაშვილი | მკ |
| ბადრი ტყემალაძე | ნ |
| გიორგი ჩადუნელი | ნ |
| კლიმენტი წიტაიშვილი | თ |
| სოსო ჭედია | მ |

მწვრთნელი: ვლადიმერ თუთბერიძე
პრეზიდენტი: ვახტანგ ნანავა

## სამგურალი

| | |
|---|---|
| ოთარ ბოზოხიძე | მ |
| შოთა დარსაძე | ნ |
| მალხაზ თევდორაძე | ნ |
| მამუკა თევზაძე | მკ |
| რამაზ კოლუაშვილი | მ |
| მიხეილ მახვილაძე | მ |
| თემურ ნიშნიანიძე | მკ |
| ლევან ფესტვენიძე | თ |
| შალვა ფრანგიშვილი | მ |
| ზვიად ფხაკაძე | ნ |
| ლევან ქობულაძე | მ |
| გელა ქაგნიძე | ნ |
| ირაკლი ხაჭაპურიძე | ნ |
| ემზარ ხურცილავა | თ |
| კახა ჯანაშია | ნ |
| დიმიტრი ჯანელიძე | თ |

მწვრთნელი: გივი ბაბუნიძე
პრეზიდენტი: გრიგოლ ქათამაძე

## სიონი

| | |
|---|---|
| ნუგზარ დალაქიშვილი | მკ |
| შალვა ისიანი | მ |
| იუზა მეფარიშვილი | მ |
| ბახვა მოსეშვილი | თ |
| ზურაბ ნაცვლიშვილი | ? |
| მირზა სამხარაძე | ნ |
| ნორმენ ტარტარაშვილი | ნ |
| გოჩა ტრაპაიძე | თ |
| მამუკა უკლება | ნ |
| მურად ჟაველაშვილი | მ |
| გიორგი ყიფშიძე | მ |
| არჩილ შაკიაშვილი | მ |
| თემურ ჩლაიძე | მკ |
| კახა წიკლაური | მ |
| გურამ ხოსროშვილი | ნ |
| დავით ჯაფარიძე | ნ |
| ელგუჯა ჯაფარიძე | თ |

მწვრთნელი: ანზორ გძელიძე
პრეზიდენტი: შუქრი დევნოზაშვილი

## ტორპედო

| | |
|---|---|
| დავით ასლანაძე | მკ |
| მირიან გეწაძე | მ |
| ვასილ გიგიაძე | თ |
| იოსებ გიგიაძე | მ |
| ზაზა ვაჩიბერაძე | ნ |
| ვახტანგ თურმანიძე | მ |
| კახა კვეტენაძე | ნ |
| გელა კიკალეიშვილი | მკ |
| გიორგი ლომიძე | მ |
| დავით მამარდაშვილი | მკ |
| ირაკლი მაღლაკელიძე | მ |
| გიორგი მეგრელაძე | ნ |
| კოტე მეტრეველი | თ |
| შალვა მუმლაძე | ნ |
| ლევან ქებაძე | თ |
| გიორგი შენგელია | თ |
| კახა ჩხეტიანი | ნ |
| ირაკლი ხუჯაძე | მ |
| შალვა ხუჯაძე | მ |
| ვახტანგ ხვადაგიანი | მ |
| მალხაზ ჯინჭარაძე | მ |

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე
პრეზიდენტი: ბესიკ ჯიქია

## გუცაევმა ახლებს უხმო

ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვოვა გუცაევმა დაასახელა იმ 21 მოთამაშის გვარი, რომელთაგან 18 საუკეთესო 20 აგვისტოს თბილისში რუს თანატოლებთან შესახვედრად მოემზადება.

**მეკარეები:** დათო გვარამაძე („უგუნდო"), დათო ასლანაძე („ტორპედო"), ზურაბ ბათიაშვილი (თსუ).

**მცველები:** გივი დიდავა, ლევან ცქიტიშვილი, კახი კალაძე („დინამო"), შალვა ხუჯაძე („ტორპედო"), ლევან სილაგაძე („სკონტო"), მამუკა წერეთელი („ვენტსპილსი"), აჩიკო სახვაძე (თსუ), ზაზა ლაცაბიძე („ოდიში").

**ნახევარმცველები:** გიორგი კიკნაძე, დათო მუჯირი, ალეკო გოგობერიშვილი („დინამო"), შოთა ჩომახიძე (თსუ), გოგა გახოკიძე („ალანია"), ლაშა მონასელიძე (უგუნდო).

**თავდამსხმელები:** ალექსანდრე იაშვილი, რატი ალექსიძე („დინამო"), მიხეილ აშვეთია („ალანია"), დავით ჩალაძე („სკონტო").

გუცაევმა ყველა ლეგიონერს ვერ უხმო, რადგან ნაკრებში მათი გამოძახების ლიმიტი იწურება, წინ კი მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრებია იტალიასთან და პოლონეთთან. მათ ნაცვლად გუცაევი ოთხი ახალი მოთამაშის გამოცდას აპირებს — ჩომახიძის, ალექსიძისა და სახვაძის და ზაზა ლაცაბიძის.

გუცაევი 18 აგვისტოს ჩემპიონატის ტურის გამო ტრადიციულ შეკრებას ვერ ახერხებს, ამ მიზეზით ფეხბურთელები მხოლოდ 19 აგვისტოს დაიბარა, 20-ში კი რუსებთან შეხვედრაა.

## დილაში ცვლილებებია

გიორგი რევაზიშვილისა და ალექსანდრე კაიდარაშვილის დარად, გორელთა ხელმორჩენილი მეკარე რამაზ სოლოლაშვილი ამიერიდან ზუგდიდის „ოდიშში" ითამაშებს. ვაჟა თარხნიშვილმა კი რუსეთში ამჯობინა კარიერის გაგრძელება. თუმცა, გორელები მარტო დანაკლისს არ უჩივიან — ქუთაისში ტრანსფერზე დაყენებული როინ მარლიშვილი „ტორპედოს" თავკაცებმა „დილას" ერთი წლით ათხოვეს.

„დილას" პრეზიდენტი ყოფილი მოთამაშე ზვიად შერმადინი იქნება, გუნდის უფროსი — კობა ახალკაცი. გუნდს მთავარი მწვრთნელიც ახალი ჰყავს: ადგილობრივ ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე ვლადიმერ ელიაური, რომელსაც ვაჟა ხაჩირაშვილი დაეხმარება.

საუბარი იყო ბულგარეთში მოღვაწე ჩვენს თანამემამულე ბორის დუდაურზეც, მაგრამ „დილამ" ისევ შინაური ამჯობინა.

## რევანში [illegible]

[illegible] სომეხი ფეხბურთელები [illegible] ჩვენები ჰაოსიანთ საპასუხო ვიზიტით არ სწვეოდნენ. აბა, მეზობლობა რისაა, ერთმანეთი ხშირად თუ არ მოვიკითხეთ. ჰოდა, საქართველოს 16 და 18 წლამდელთა ნაკრებებმა უყურადღებოდ არ დატოვეს კოლეგების მიწვევა, ამ დღეებში ერევანს ესტუმრნენ და იქაურებთან ამხანაგურად ითამაშეს, პირველად — 4 აგვისტოს. მასპინძლებმა ორივე ასაკში გვაჯობეს და კოპალეიშვილის 18 წლამდელთა ნაკრებსაც პირველი მარცხი აგემეს — 0:2. უფრო პატარებმა კი ერთი საპასუხო გოლის გატანა მოახერხეს. ჩვენებურებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს.

16 წლამდელთა ნაკრები:

**ქოლოკავა, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, საჯაია, თავბერიძე (ზურაბიანი 32), სეფერთელაძე, ადამია (წონკოლაური 44), დარჩიძე, ხმალაძე, დეკანოსიძე, გოცირიძე (კვერნაძე 40) 0:1 დარჩიძე (2), 1:1 მურადიანი (61), 2:1 ისიოიანი (77)**

• 18 წლამდელთა ნაკრები:

**ბათიაშვილი (კუპატაძე 46), დევიძე, ებრალიძე, აბრამიძე, (მაქრაძე 66), ხარებავა, ხუციშვილი, დიღმელაშვილი, გველესიანი, აფციაური, ახალაძე, შენგელია (გაგუა 55) 1:0 ჯენებიანი (9), 2:0 კარამიანი (59)**

ორივე თამაში მეტად საინტერესო ყოფილა. სომხებსაც და ქართველებსაც ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ იღბალს მასპინძლებისთვის გაუღიმია. გატანილი ხუთი გოლიდან გამოსარჩევი დარჩიძისა გახლდათ: სომეხთა საჯარიმოში მარჯვენიდან შეჭრილმა რამდენიმე მცველი მოატყუა და მეკარისაგან შორეულ კუთხეში ულამაზესი ბურთი გაიტანა.

გუშინ კი „რაზდანზე" სომხები და ქართველები მეორედ შეეჭიდნენ ერთმანეთს.

## ჩიხრაძის მტანჯველი მოლოდინი

საქართველოს ეროვნული გუნდის წევრ გიორგი ჩიხრაძეს „შახტიორთან" უკვე დაუმთავრდა კონტრაქტი, მაგრამ ჯერაც დონეცკელებთან ვარჯიშობს, რადგან ესენი მისი გადაბირების მსურველ გუნდებს საკომპენსაციო თანხას სთხოვენ. „დონეცკელები ჩემში იმდენივე თანხას ითხოვენ, რამდენსაც კონტრაქტის დამთავრებამდე. მე კი დამტანჯა ამდენმა ლოდინმა" — გვითხრა გიორგიმ. რომელ გუნდში ვიხილავთ ქართველ მცველს, ამას ჯერ არ ამბობს, თუმცა, ჩვენი ცნობით, ეს გერმანიის და ინგლისის უმაღლესი დივიზიონის კლუბებია.

ჩიხრაძის თქმითვე, დონეცკელთა მეორე ქართველს მიხეილ ფოცხვერიას ნატკენი მუხლი მოურჩენია და ბოლო მატჩებში კვლავ ათამაშებენ.

## სამი ყვითელი ზღვარია

ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახურის უფროსის ნოდარ კობერიძის ცნობით, 4 აგვისტოს ქუთაისში გამართულ აღმასკომის სხდომაზე დებულებაში ცვლილება შეიტანეს: ამიერიდან ჩემპიონატის შეხვედრას ფეხბურთელი მხოლოდ 3 გაფრთხილების შემდეგ გამოტოვებს, მერე კი ყოველ კენტ გაფრთხილებაზე, თუკი ამდენს მოახერხებს.

## ავაზა ქალთა დინამოა



საქართველოს თასის პირველი ქალური ფინალიც კაცებისას გავდა — თბილისელები ბათუმელთა წინააღმდეგ. აქაც გამარჯვებული ქვეყნის ჩემპიონი — „ავაზა" დარჩა და დუბლიც გააჩერხა.

„ავაზამ" დაამტკიცა, რომ ჯერაც ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფ ქალთა ფეხბურთში მას ვერავინ გაუტოლდება. ეს არც არის გასაკვირი. თბილისელთა მთავარი მწვრთნელი მიხეილ ჯარმელაშვილი ეროვნულ ნაკრებსაც თავკაცობს. ნაკრების წევრთა უმრავლესობაც ავაზელია. ბათუმელებს სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა, უძლიერესმა ნახევარმცველმა ნანა იუნაშვილმა გაუტანა ორი პენალტი და თასის ბედიც გადაწყვიტა.



# ნოდარ ანდრიაძე: შევარდნაძის ნათესავი არ ვარ

-4 აგვისტოს ქუთაისში მხოლოდ საქართველოს სუპერთასის გათამაშება როდი ჩატარდა. ნაკლებ საინტერესო, ვფიქრობთ, არც ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა უნდა ყოფილიყო. ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე:

— ძირითადად კარს მომდგარი მეცხრე ჩემპიონატის თაობაზე ვიმსჯელეთ. პრობლემების მიუხედავად, I ჯგუფში თექვსმეტივე გუნდი ითამაშებს. II ჯგუფში კი უსახსრობის გამო „დინამო-2“ მხოლოდ ზონალურ შეჯიბრებაში გამოვა, თელავის „კახეთმა“ კი, სამწუხაროდ, ამაზეც უარი თქვა. ასე რომ, აღმასკომის დადგენილებით II ჯგუფში მხოლოდ 16 გუნდი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, თელავის ხელმძღვანელებმა რაიმე არ იღონეს. ამის იმედს მაინც ვიტოვებთ.

მოვისმინეთ ფედერაციის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის ხელმძღვანელის, გაიოზ დარსაძის ინფორმაცია ბათუმში მიმდინარე სემინარის თაობაზე, რომელიც აჭარა-გურიის რეგიონში ბავშვთა მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს ემსახურება. მანამდე ანალოგიური სემინარი ზუგდიდში ჩატარდა. სხვათა შორის, ბათუმშიც და ზუგდიდშიც სემინარი მშვენიერ პირობებში მიმდინარეობდა. მალე დადგება დრო, როცა ფეხბურთში ველარ იმუშავებენ ულიცენზიო მწვრთნელები და ისინიც, ვინც ამგვარ სემინარს არ გაივლის. ბავშვთა ფეხბურთში ეს დადგენილება 1998 წლიდან იმოქმედებს, მოგვიანებით კი ყველა რანგის გუნდებზეც გავრცელდება.

**— სიტყვა ლიცენზიებზე ჩამოვარდა. ხომ არ არის შესაძლებელი, ფიფას ერთადერთ ლიცენზირებულ აგენტს, ილო კოკაიას, კიდევ რომელიმე ქართველი დაემატოს?**

— ეს გამორიცხულია, რადგანაც ფიფას აგენტობის მსურველს საბანკო ანგარიშზე 200 000 შვეიცარიული ფრანკი უნდა ჰქონდეს. ჩვენ მთელს კავკასიაში ერთი აგენტი გვყავს და მეტი არც გვჭირდება. ფეხბურთელებსაც ვურჩევდი, შემთხვევით ხალხს ნუ მიენდობიან — ისინი მოთამაშეებს ხშირად ატყუებენ.

**— კოკაიას ძალიან ბევრ ფეხბურთელთან გაუფორმებია კონტრაქტი. თითოეულის საქმის მოგვარება კი დიდ დროს, ენერგიას და ფართო კავშირებს ითხოვს. ერთი კაცი კი ნათქვამია, ჭამაშიც ბრალიაო...**

— გეთანხმებით, ამაზე ვისაუბრეთ ფედერაციაში. ეს კოკაიას სურვილიც გახლავთ — მცოდნე იურისტისა და ფეხბურთის სპეციალისტებისგან უნდა ჩამოყალიბდეს ორსამკაციანი ბიურო. ისინი კოკაიას საქმეს გაუიოლებენ. ეს ჩვენი ფეხბურთელებისთვისაც უკეთესი იქნება და საქმეც გაცილებით სწრაფად მოგვარდება.

**— ისევ აღმასკომს დავუბრუნდეთ. ცოტა ხნის წინ იყო საუბარი, რომ ახალი დებულებით I ჯგუფის გუნდებს ანგარიშზე 250 000 ლარი უნდა ჰქონოდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯგუფში არ დაიშვებოდნენ.**

— ეს იდეა ჩვენგან მოდიოდა, პროექტი ყველა გუნდს დავუგზავნეთ, მაგრამ გაჭირვებას სად გავექცეთ? საბჭოურ წლებში, უნდოდა თუ არა, რაიკომის მდივანი ვალდებული იყო, სპორტისთვის ყურადღება მიექცია. დღეს კი თითებზე თუ ჩამოვთვლით გამგებელს, რომელსაც კარგად ესმის სპორტის და კონკრეტულად ფეხბურთის მნიშვნელობა. სადაც ეს არ გაუცნობიერებიათ, სპორტი ჩამკვდარია. მივდივართ იმ ელემენტარულ დასკვნამდე, რომ საჭიროა ქართული ფეხბურთის გადარჩენის სახელმწიფო პროგრამა. ქუთაისში, აღმასკომის სხდომაზე ამ საკითხზეც ვიმსჯელეთ. ფეხბურთის ფედერაციაში შეიქმნა კომისია, რომელიც სწორედ ამ პროგრამას შეიმუშავებს და მთავრობასთან და ქვეყნის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების შემდეგ განახორციელებს კიდეც. კომისიას „მერანის“ პრეზიდენტი, პარლამენტარი ნუგზარ ნავაძე ჩაუდგა სათავეში. მე მთავრობის მხარდაჭერაში ეჭვი არ მეპარება და მერე უკვე ფეხბურთის ბედი გამგებლის ხასიათზე გემოვნებასა და შეხედულებაზე არ იქნება დამოკიდებული. ახლა კი ზოგიერთ გამგებელს ვეხვეწებით, რამენაირად გუნდი შეინახოს. რა გვაქვს სახვეწარი? სამწუხაროდ, სხვა გამოსავალი არ გვაქვს. სხვათა შორის, ქუთაისიდან მეტად კმაყოფილი წამოვედი. ეს განწყობა ქალაქის ახალ მერ დავით მელქაძესთან და იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულ თემურ შაშიაშვილთან შეხვედრამ დამიტოვა. ისინი სტადიონის საკუთარი ძალებით რეკონსტრუქციას აპირებენ და სურთ, რომ ქუთაისში კვლავ აღდგეს საფეხბურთო ტრადიციები, რაც თავის მხრივ ქალაქის ინფრასტრუქტურაზეც კეთილად იმოქმედებს.

**— აღმასკომზე ნაკრების წევრთა დასჯაზეც უნდა ყოფილიყო საუბარი...**

— ნაკრებზე იყო საუბარი, მაგრამ მხოლოდ ახალგაზრდულზე. უფრო სწორედ, 20 აგვისტოს თბილისში რუსეთის ახალგაზრდულთან ჩასატარებელი შეხვედრის ორგანიზაციულ მხარეზე.

**— ყიფიანს უთქვამს, ვის მოვიწვევ და ვის დავსჯი, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია, ჩემს საქმეებში ნუ ერევიანო. ლოგიკურად იგი მართალია, ჩარევებში კი, ბუნებრივია, თქვენ იგულისხმებით — რამდენჯერმე ზოგიერთი მოთამაშის ნაკრებიდან გარიცხვა მოითხოვეთ.**

— ყიფიანი ამ შემთხვევაში მართალია. მოთამაშეთა მიწვევა მისი საქმეა, მაგრამ ნაკრებს ფედერაცია აფინანსებს და, ბუნებრივია, ეროვნული გუნდის გამოსვლაზე ჩვენც ვაგებთ პასუხს. აბა, შეიძლება ნაკრებში ისეთი ფეხბურთელების მიწვევა, რომლებიც თავიანთ კლუბებში ძირითადში ვერ ხვდებიან? ეს არ უნდა განმეორდეს.

**— თქვენ ვისაც გულისხმობთ, ყველა მიხვდება — ყაველაშვილი, ჯამარაული და არჩილ არველაძე, მაგრამ მათ ყიფიანი ენდობა, ეტყობა, უკეთესები არ ეგულება...**

— მე ხომ არ ვამბობ, ამ ახალგაზრდებს ნაკრებში საერთოდ ნუ მიიწვევს-მეთქი. მით უფრო, თუ ენდობა, მაგრამ ითამაშონ თავიანთ გუნდებში, პრაქტიკა მიიღონ და ვინმე რამეს იტყვის? ნაკრებში უნდა მოხვდეს კონკრეტულ შემთხვევაში საუკეთესო. რა შუაშია აქ ფედერაციის ჩარევა? ბოლოს და ბოლოს, ვინ აფინანსებს ეროვნულ გუნდს, შეკრებებს? რა თქმა უნდა, ფედერაცია.

ამავე დროს მსურს მკაფიოდ განვაცხადო, რომ მოგონილია ის ამბავი, თითქოს იტალიასთან წარუმატებლობის შემთხვევაში ფედერაცია ყიფიანს მოხსნას უპირებდეს. ჩვენ მას ახალი ნაკრების ჩამოყალიბების საშუალება უნდა მივცეთ. პრესამ გადაგვკიდა მე და ყიფიანი ერთმანეთს, არადა, რა გვაქვს სამტრო?

**— პრესაში მხოლოდ თქვენი გამონათქვამები იყო მოყვანილი. რა შუაშია პრესის ავი ზრახვები?**

— უბრალოდ, მე ვთქვი ის, რაც თვითმფრინავში მოხდა. დავიჯერო, ეს ჩემს გარდა არავის დაუნახავს? აქ ზნეობრივ მომენტებს ვგულისხმობ. ეროვნული ნაკრების წევრმა არ უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს? თორემ, თუ დავინახავთ, რომ ადამიანი შეცდომას მიხვდა, მასთან საპრეტენზიო რაღა გვექნება. პოლონეთის ლაქა ჯერაც გვაჩნია. აღმასკომზე ამ საკითხზეც ვისაუბრე: თუ ეს ლაქა არ ჩამოირეცხა, წინ ვერ წავალთ.

**— იმ ლაქებზეც ვისაუბროთ, რომლებიც არანაკლებ სამარცხვინოა ჩვენი ფეხბურთისა და ფედერაციისათვის. ბუნებრივია, გარიგებული მატჩის მონაწილენი თავად არ მოითხოვენ, დაგვსაჯეთო. სეზონის ბოლოს კი მრავალ შეხვედრას მეტად საეჭვო ელფერი დაჰკრავდა. ეს ლაქა, ვფიქრობ, პოლონურზე გაცილებით ღრმა და ძნელად ჩამოსაშორებელია.**

— ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები არსებობს. წინა სეზონის დასასრულს ერთადერთი „დინამო“ იყო სახელშეუბღალავი. ხომ შეეძლო უკვე ჩემპიონს, ბოლო თამაშებში ეცულლუტა? არ იკადრეს მისმა თავკაცებმა. ახლა კითხვაზე როგორ ვუშველოთ ჩვენს ფეხბურთს: კომისიების შექმნით საქმე არ გამოსწორდება, ყველა ყველას ახლობელია, ჩვენ კი ქართველები ამას დიდ ყურადღებას ვაქცევთ. თანაც მეტად ძნელია, დაამტკიცო გუნდების დანაშაული. მთავარი მწვრთნელი იტყვის, ჯგუფში დასარჩენად ქულები საკმარისად მოვიპოვე, ახლა მომავალი სეზონისთვის ახალგაზრდებს ვცდიო. რა ვუთხრათ ასეთს? ძნელია კამათი და ფაქტების მოხმობა. მაგრამ თქვენ გგონიათ, სიბინძურეს ჩვენ არ ვებრძვით?

**— ეს ბრძოლა კონკრეტულად რაში გამოიხატება?**

— ფედერაციის დებულებაში წერია ამის შესახებ.

**— დებულება შეუსრულებლად ფურატინა ქაღალდად დარჩება. რაში გამოიხატება ჩაწყობილი თამაშებისა და მიკერძოებული მაჯობის აღკვეთის სურვილი?**

— თუ ასეთი ფაქტი იქნება მეცხრე ჩემპიონატში, ფედერაცია არავის დაზოგავს.

**— დასრულებულმა მერვე ჩემპიონატმა რაღა დაამავა? დავიჯერო, ეჭვი არც ერთმა თამაშმა არ აღგიძრათ?**

— ახლა ძალიან ძნელია ამის თქმა. საეჭვო თამაშები იყო, მაგრამ ამას ჯერ ვერ ვამტკიცებთ. ჩვენ იურიდიული სამხილებელი გვჭირდება, ეს კი არ გაგვაჩნია. სანამ ფეხბურთში წესიერი ხალხი არ იმუშავებს, ძნელია ამ უმსგავსობის აღკვეთა.

**— არ მიწყინოთ და ეს უფრო ოცნებას ჰგავს. რეალობაში კი, ალბათ, თითებზე ჩამოსათვლელია ის ქვეყნები, სადაც თამაშებს არ აწყობენ, მაგრამ ყველაფერს ზღვარი გააჩნია. ჩვენთან კი ეს ზღვარი კარგა ხანია, გადალახულია. მე-9 ჩემპიონატის დაწყებამდე ვიცით, რომელ გუნდს რომლის ვალი მართებს და ვინ ვის მოუგებს. არადა, ჯერ ტურიც არ გამართულა.**

— ერთადერთი გამოსავალი პროფესიონალური გუნდების შექმნაა. ჩვენთან კი ასეთი რომელია? ამასთან, პროფესიონალი მწვრთნელების მომრავლებაც სასიკეთოდ წაგვადგება — მათი შემოსავალი ხომ შედეგზე იქნება დამოკიდებული.

**— თქვენ ქართულ ფეხბურთში მდგომარეობის გაუმჯობესებაზე საუბრობთ, ახსენეთ საამისოდ შექმნილი კომისიაც. თქვენი აზრით, ეს ყოველივე რამდენ ხანში იქნება შესაძლებელი?**

— თუ ქვეყნის ხელისუფლება ამ პროექტით დაინტერესდება, ქართული ფეხბურთი მალე დაიბრუნებს საკადრის სახელს. მით უფრო, რომ ახლა შესაძლებელია პროფესიონალიზმზე საუბარი, რაც ადრე დანაშაულის ტოლფასი გახლდათ. ეს კი დაინტერესებულ კაცს ხელ-ფეხს უხსნის. თან, არ დაგავიწყდეთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ფეხბურთის დიდი ქომაგია.

**— სიტყვამ მოიტანა და გკითხავთ: მართალია, თითქოს თქვენ შევარდნაძეს ენათესავებით?**

— არა, ტყუილია, მაგრამ მაინც გავიმეორებ: მას ფეხბურთი მართლაც უყვარს. მახსოვს, 1980 წელს „სულორმა“ საქართველოს თასი მოიპოვა. მაშინ ვაკის რაიკომის მდივანი ვიყავი. გამარჯვების მეორე დღეს ბატონმა ედუარდმა ტელეფონით მოგვილოცა. ელემენტარულად, ყურადღება გვაგრძნობინა. მახსოვს მისი სიტყვებიც: ვაკში ბოსტნეულის მოსავალი ყოველთვის გეგმის გადაჭარბებით სრულდება, მაგრამ ეს არავის გახსენდება, თასის მოპოვება კი ქალაქის ისტორიას დარჩებაო. შევარდნაძემ კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ადამიანებისთვის ფეხბურთი და ყოველთვის ცდილობდა, მისთვის დიდი ყურადღება მიექცია. სამწუხაროა, პრეზიდენტის ასეთ დამოკიდებულებას ფეხბურთის სამყარო სათანადოდ რომ ვერ იყენებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ტორპედოს ახალი ჰორიზონტები

შარშან ამ დროს ვინმეს რომ წამოსცდენოდა, ქუთაისის „ტორპედო“ ჩემპიონატის მედლებისთვის იბრძოლებსო, ალბათ, სასაცილოდ არ გვეყოფოდა. ეს მერე იყო, კლუბის პატრონობა ქალაქის მერიასთან ერთად „სიგმა ბანკმა“ რომ იკისრა და „ტორპედოსაც“, როგორც იქნა, ეშველა. გუნდი გაძლიერდა და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე დარჩა.

ახლა სულ სხვა სიტუაციაა და ასეთი შედეგი „ტორპედოს“ მესვეურთ, რაღა თქმა უნდა, ველარ დააკმაყოფილებთ. ისინიც ხმამაღლა აცხადებენ, რომ მეცხრე ჩემპიონატში გუნდი საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს და თასის ფინალში გასვლასაც შეეცდება. კითხვაზე თუ რამდენად რეალურია ქუთაისელთა პრეტენზიები, „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა *ხოხო ფრუიძემ* გვიპასუხა:

— კლუბის პრეზიდენტმა ბესო ჯიქიამ ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ განაცხადა ოფიციალურად, მომავალ სეზონში „ტორპედო“ მაღალ მიზნებს დაისახავსო. მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა, რის შესახებ ითქვა კიდეც და დაიწერა, ამიტომ ამას აღარ გავიმეორებ.

**— სულ რამდენიმე სიტყვით სიახლეებზე...**

— გუნდში მომხდარ ცვლილებებს თუ გულისხმობთ, სულ სამი ახალი მოთამაშე გვყავს. ახალგადმოსული ნაკრების მეკარე დათო ასლანაძე, ექს-მარგველი მირიან გეწაძე და ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებული დათო ნოზაძე, თუმცა, იგი საგანაცხადო სიაში ჯერ არ მოხვედრილა, ზოგიერთი ფორმალობაა მოსაგვარებელი.

**— სხვებზე აღარ გეკითხებით, აშვეთიას როგორ შეელიეთ?**

— მიხო მხოლოდ ექვსი თვით მივავლინეთ ვლადიკავკაზის „ალანიაში“. ხელშეკრულების თანახმად, წლის ბოლოს იგი „ტორპედოში“ უნდა დაბრუნდეს.

**— თქვენ გჯერათ ამის?**

— შესაძლოა, ეს არც მოხდეს. თუკი აშვეთია დიდ ფეხბურთს ითამაშებს, და არა მაინცდამაინც „ალანიაში“, ჩვენ მხოლოდ მოხარულნი ვიქნებით!

**— აშვეთიას წასვლით თავდასხმაში პრობლემები თუ გაჩნდა?**

— რა თქმა უნდა, გაჩნდა, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს — ისეთი ტაქტიკური სვლები უნდა ვეძიოთ, რომ წინა ხაზი თავის პირდაპირ მოვალეობას ასრულებდეს.

**— უნდა ეძიოთ თუ უკვე მოძებნილი უნდა გქონდეთ?**

— უნდა გვქონდეს, მაგრამ იყო კი ამის შესაძლებლობა? აბა ნახეთ, მოსამზადებელ პერიოდში სრული შემადგენლობით არც კი უვარჯიშია. გეცოდინებათ, მეტრეველი, კვენეტაძე, ხვადაგიანი და ქებაძე „კოლხეთს“ ჰყავდა წაყვანილი, შალვა ხუჯაძე კი „მერანს“. ამათი განათხოვრება ქართული ფეხბურთისთვის უკეთესი სურვილით კი მოხდა, მაგრამ ჩვენთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია. ხუთი მოთამაშიდან ოთხი ტრავმებით დაგვიბრუნდა. მეტრეველი და კვეტენაძე ჩემპიონატის სასტარტო მატჩში ვერ გამოვლენ. უფროსი ხუჯაძე და ხვადაგიანი ალბათ ითამაშებენ, თუმცა, სჯობდა, ცოტა კიდევ დაესვენათ.

**— ორშაბათს საქართველოს სუპერთასის მატჩს ესწრებოდით. თქვენი შთაბეჭდილება...**

— ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ. „დინამო“ მაინც „დინამოა“. იგი ყველა ჩვენს გუნდზე მაღლა დგას. ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. შევიტყვე, რომ ერთბაშად 7 ფეხბურთელი აპირებს „დინამოდან“ წასვლას. ესეც რომ მოხდეს, მას კონკურენტი მაინც არ ეყოლება. „ბათუმს“ კი არანაირი სათამაშო ტაქტიკა არ ჰქონდა. თანაც გუნდი რამდენიმე წამყვან მოთამაშეს დაუტოვებია, მაგრამ მჯერა, ბათუმელები დალაგდებიან და ჩვეული შემართებით იბრძოლებენ.

**— „ტორპედოს“ სხვა კონკურენტებზე რას იტყვით?**

— დადის ხმები, რომ „კოლხეთი“ ფეხბურთელებისგან იცლება. ეს მეტად სამწუხაროა. ფოთს ხომ მდიდარი ტრადიციები აქვს და იქ ძლიერი გუნდის შენარჩუნება აუცილებელია. მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა შეუძლიათ „ლოკომოტივს“, თსუს, „მერანს“, „ოდიშს“.

**— კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ „ტორპედოს“ მიზანი ახალ სეზონში...**

— ჩემპიონატში სამეულში მოხვედრა, თასის ფინალში თამაში და რომელიმე ევროტურნირზე გასვლა.

**იუზა ქაციტაძე**

# ათეული თუ ხუთეული?

## საკითხავი მხოლოდ ეს არის

წინა ჩემპიონატის ფინიშთან პირველ ჯგუფში ახალდაბრუნებული „სამგურალი“ წელს ბეწვზე ეკიდა, თუმცა, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა — უკანასკნელი ტური წყალტუბოელთათვის იღბლიანი გამოდგა და გავარდნას გადაურჩნენ.

— რაც იყო, იყო, მერვე გათამაშება არქივს ჩაბარდა — გვეუბნება „სამგურალის“ პრეზიდენტი *გრიგოლ ქათამაძე* — აი, ნახავთ, ახალ ჩემპიონატში რა გუნდი გვეყოლება. ათეულს ქვემოთ რომ არ დავეშვებით, ეჭვიც არ მეპარება, ის კი არა, შესაძლოა, ხუთეულში მოსახვედრადაც ვიბრძოლოთ.

**— საიდან ასეთი ოპტიმიზმი?**

— გვეყო, ბოლოს და ბოლოს ჩვენც გაგვაჩნია თავმოყვარეობა. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, გუნდი საგრძნობლად გავაძლიერეთ.

**— მაშინ ისიც გვითხარით, როგორ მოახერხეთ ეს?**

— ეს საქმე ახლა იოლი მოსაგვარებელია, რა თქმა უნდა, ფინანსები არ გვიჭირს.

**— გამდიდრდით?**

— მაგისგან ჯერ შორს ვართ, მაგრამ მხარდაჭერა და თანადგომა ნამდვილად აღარ გვაკლია. გუნდის წინსვლით ქალაქის მერიაა დაინტერესებული. გვეხმარებიან პურკომბინატი, ელექტრომეურნეობის სამმართველო, ავტოსატრანსპორტო საწარმო და სხვა ორგანიზაციები. პირობები შარშანდელზე ბევრად უკეთესი გვაქვს. ივლისის ჩათვლით ყველა ფეხბურთელი გავისტუმრეთ. საკონტრაქტო თანხებიც იოლად გავეცით.

**— ახალი მოთამაშე ბევრი მიიღეთ?**

— „ტორპედოდან“ მეკარე ნიშნიანიძე, მცველი სადილიანი და ნახევარმცველი ხაჭაპურიძე. „სამტრედიიდან“ წამოვიყვანეთ ნახევარმცველები ფრანგიშვილი და დარსაძე. „ტორპედო 2“-დან ახალგაზრდა ფეხბურთელები მახვილაძე და ფილიპაშვილი დავიმატეთ.

**— გერმანიის ობერ-ლიგაში ნათამაშევი სუხიაშვილი და ვლადივოსტოკიდან ჩამოსული გიორგობიანიც ხომ თქვენთან არიან?**

— მართალია, ჩვენთან ვარჯიშობენ, მაგრამ მათი საკითხი გადაწყვეტილი არაა. ორივეს მხოლოდ პირველ წრეში სურს „სამგურალში“ თამაში, მერე კი წასვლა აქვთ განზრახული. ალბათ, ამაზეც დავყაბულდებით.

**— ვინ გაუშვით?**

— მეკარე ქვაჩახია ფოთში წავიდა. უშვერიძის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ რუსეთში აპირებდა თამაშს, „სამტრედიას“ ოთხი ფეხბურთელი ვათხოვეთ — ანზორ მანაგაძე, ბრეგვაძე, თოდაძე და გიორგი მანაგაძე.

**— საკონტროლო თამაშებში „სამგურალი“ კარგად გამოიყურებოდა...**

— გუნდი წვრთნას 16 ივნისიდან შეუდგა, 10 ივლისიდან კი ორჯერად ვარჯიშებზე გადავედით. რვა თამაში ჩავატარეთ. აქედან მხოლოდ ერთი წავაგეთ „ტორპედოსთან“, რომელთანაც მანამდე მოვიგეთ კიდეც.

**— მახსოვს, შარშან მითხარით, გივი ბაბუნიძე გუნდში იმ პირობით მოვიყვანეთ, თუ კი პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნებას დაგვპირდებაო. გაამართლა მთავარმა მწვრთნელმა?**

— ბაბუნიძესთან სასაყვედურო არაფერი გვაქვს. დაკვირვებული, შრომისმოყვარე კაცია. ოც წელზე მეტი უთამაშია და აბა რა უნდა შეეშალოს. თუმცა, უკვე დაამტკიცა რომ ამ საქმესაც მშვენიერად შეუძლია გაუძღვეს.

**— ამბობენ, „სამგურალს“ ფარმკლუბიც ეყოლებაო...**

— მესამე ჯგუფში ვაპირებთ გუნდის გამოყვანას. „სამგურალი 2“ 1991-92 წლებში დაბადებული ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტდება, წყალტუბოს სპორტსკოლის აღსაზრდელებით.

**იუზა ქაციტაძე**

# ქართველები რიგაში ბარსელონას ელიან...

დათო ჩალაძემ ლატვიის ჩემპიონატის პირველ ორ ტურში ექვსი გოლი რომ გაიტანა, ვინ იფიქრებდა, თუ ბომბარდირთა დავაში შეეცილებოდა ვინმე. მაგრამ უიღბლობამ, საქართველოშიც თან რომ სდევდა, ლატვიაშიც გვარიანად შეუშალა ხელი — კოჭის ტრავმამ რამდენიმე მატჩი გამოატოვებინა და გოლეადორთა სიაშიც ხომ ჩამოაქვეითა. ეგ კიდევ არაფერი, რაც ყველაზე საწყენია, შეიძლება „ბარსელონასთან“ ესპანეთში ჩემპიონთა ლიგის კარიბჭის მატჩიც გამოატოვებინოს...

**— დათო, მაინც რა შეგემთხვა ასეთი?**

— 30 ივლისს ჩემპიონთა ლიგის განმეორებით საკვალიფიკაციო მატჩში მალტის „ლა ვალეტასთან“ მეტოქის მცველი ძალზე უხეშად მეთამაშა და მარჯვენა ფეხი ლამის მომინგრია კოჭთან. ყველას მოტეხილობა ეგონა, მათ შორის მეც. საბედნიეროდ, კლუბის ექიმმა გასინჯვისა და სურათის გადაღების შემდეგ მითხრა, მოტეხილობა არ არის, მაგრამ კოჭის და წვივის შემაერთებელი მყესებია ძალზე დაჭიმულიო. რა თქმა უნდა, იმწამსვე ის ვკითხე, 13 აგვისტოსთვის შევძლებდი თუ არა თამაშს, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი მითხრეს...



დავით ჩალაძე

GUERIN SPORTIVO

**— ნუთუ „ბარსელონასთან“ ვერ ითამაშებ „ნოუ კამპზე“?**

— არ მინდა წინასწარ ვილაპარაკო, მაგრამ ექიმი თამაშის შანსების 50 პროცენტსაც არ მაძლევს...

**— ჩემპიონატში რამდენი მატჩი გამოტოვე?**

— გუშინწინ რიგის „დაუგავა“ გავანადგურეთ 6:0. ამ გუნდში ახლა ივანე ჯულელი გადავიდა. 4 გოლი ჩემმა თანაგუნდელმა და პარტნიორმა თავდასხმაში მიშა მიხოლაპმა შეაგდო. ახლა მას 12 გოლი გაუხდა და ერთი გოლით გამისწრო კიდეც ბომბარდირთა დავაში.

**— როგორც გავიგე, კიდევ შემოგემატებათ ერთი ქართველი — შენი ყოფილი რუსთაველი თანაგუნდელი და გუნდის კაპიტანი კახა ალადაშვილი.**

— პირველად მესმის ამის შესახებ. არც რეზო ძოძუაშვილს უთქვამს რაიმე, არც ბიჭებმა იციან. თუკი კახაც შემოგვემატება, ამას რა სჯობია!

**— ისევ „ბარსელონას“ დავუბრუნდეთ. ესპანეთში თამაშამდე ერთი კვირაღაა დარჩენილი და რაიმე შიშისმაგვარი თუ იგრძნობა „სკონტოში“?**

— შიშზე რა მოგახსენო, მთელი სერიოზულობით კი ვემზადებით. გვესმის, რომ წარმატების შანსები თითქმის არ გაგვაჩნია, მაგრამ განა ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ მეტოქეს უბრძოლველად დანებდე? ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, ვითამაშებთ, რაც შეგვიძლია და რა გამოვა ვნახავთ. ჩემი ბედის რა ვთქვა, ამ თამაშის წინ ტრავმის მიღება შეიძლებოდა? ლატვიაშიც ხომ იმიტომ წამოვედი, რომ აქედან უკეთეს გუნდში გადავიდე და სად უნდა გნახოს დაინტერესებულმა მწვრთნელმა ან მენეჯერმა, თუ არა ასეთი დონის თამაშში? მაგრამ ეს ოხერი მალტელები საკმაოდ შეკრულები იყვნენ მინდორზე და ხისტ ფეხბურთს თამაშობდნენ. უბრძოლველად არ დაგვნებდნენ და აგერ მერამდენე დღეა, იძულებით ვისვენებ...

**— ჩვენი ბიჭები წესრიგში არიან?**

— სილაგაძეც და რეხვიაშვილიც ჯანზე არიან. ალეკომ წინა ტურში გოლიც შეაგდო. ლევანის ამბავი კი ჩემზე უკეთ იცით — ყველა თამაშს ერთნაირად მაღალ დონეზე ატარებს...

**— მაშ, „ბარსელონას“ წინ შეგეხმიანები და იქნებ სანუგეშოც მითხრა...**

— ეგრე იყოს, თუკი ამ ფეხმა „ბარსელონასთან“ მათამაშა...

**მამუკა ქვარაცხელია**

## ფეხბურთის რუკასთან



**შვეიცარიაში**, ჟენევაში გამართულ უეფას სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ევროპის ფეხბურთის მამებმა ზოგიერთ კლუბს განაჩენი გამოუტანეს ევროტურნირების მატჩებში დარღვევებისთვის. რუმინეთის „სტიაუა“ ბუქარესტში მაყურებლის თავხედური მოქცევის გამო 32 ათასი დოლარით დააჯარიმეს. სომხეთის „ერევნის“ ფეხბურთელები მალაი ნდიაი და რამზიკ გრიგორიანი უკრაინული „დნეპრის“ ფეხბურთელებთან ჩხუბისთვის ევროტურნირებიდან შესაბამისად შვიდი და ექვსი მატჩით მოიკვეთნენ.

**ნორვეგიელი ფორვარდი სტივ იოჰანსენი „ბოდო გლიმტიდან“ ინგლისის „საუთჰემპტონში“ გადაბარგდა. პრემიერლიგის კლუბმა ტრანსფერზე არაფერი თქვა. ცნობილი კი ის გახდა, რომ იოჰანსენს პრემიერლიგის პირველ ტურში თამაში შეეძლება. იოჰანსენი „საუთჰემპტონის“ მეორე ნორვეგიელია ეგილ ოსტენსტადის შემდეგ. გარდა ამისა, კლუბს კიდევ 2 სკანდინაველი, თბილისში ნათამაშევი „მოლდეს“ კაპიტანი პიტერ რუდი და კლაუს ლუნდეკვამი მოსვლიათ თვალში.**

**ბრაზილიელი** ედმილსონი პორტუგალიის ჩემპიონ „პორტუდან“ დაახლოებით 3 მილიონ 500 ათას დოლარად პსჟ-ში გადავიდა. 1991 წლიდან მოყოლებული, ედმილსონი პსჟ-ს მეექვსე ბრაზილიელია რიკარდოს, ჟერალდაოს, ვალდოს, რაის და ლეონარდოს შემდეგ. მან პარიზელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პსჟ-ს პორტუგალიელი მცველი დანიელ კენედი კი, ორი წლის წინ რომ ჩავიდა პარიზში „ბენფიკიდან“, ახლა „პორტუში“ გადადის.

**ინგლისის „არსენალის“ ერთ-ერთი ფრანგი ლეგიონერი ჟილ გრიმანდი ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში „ნორვიჩთან“ 6:2 მოგებულ მატჩში დაშავდა და სავარაუდოდ პრემიერლიგის პირველ ტურს გამოტოვებს. „ნორვიჩთან“ შეხვედრისას „ჰეთ-თრიკი“ იან რაიტმა შეასრულა, ორი გოლი გრიმანდიმ შეაგდო, ერთი კი ბერხკამფმა.**

**ბულგარეთის** ნაკრების ფორვარდი რადორტინ კიშიშევი ბურგასის „ნეფტოხიმიკიდან“ თურქულ „ბერსასპორში“ გადავიდა მილიონ 600 ათას დოლარად. კიშიშევი ახალი კლუბის მესამე ბულგარელია ივკო განჩევის და კოსტადინ ვიდოლოვის შემდეგ.

**შოტლანდიის ჩემპიონატის პირველი ტურის ბოლო შეხვედრაში უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა „გლაზგო რეინჯერსმა“ 3:1 დაამარცხა „პართსი“. მასპინძელთაგან ორი გოლი ნეგრომ შეაგდო, ერთი — კლილენდმა, ერთადერთი საპასუხო კი კამერონმა გაიტანა.**

**ინგლისის** „მანჩესტერ სიტი“ შესაძლოა მშობლიური „მეინ როუდიდან“ მანჩესტერის აღმოსავლეთით მდებარე 77 ათასიან სტადიონზე გადავიდეს, რომელსაც ახლა 2002 წლის კეთილი ნების თამაშებისთვის არემონტებენ. კლუბის თავმჯდომარემ ფრენსის ლიმ განაცხადა, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, მაგრამ თუ მოხდა და ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს სტადიონზე გადავედით, მაშინ კლუბის აღორძინება დაწყებულა და ეგააო.

**ჰოლანდიელი რეჯი ბლინკერით „სელტიკი“ დაინტერესდა და არაა გამორიცხული ექსფეიენოორდელი გლაზგოს კლუბის მიერ ახალი სეზონის წინ შეძენილი მეექვსე ფეხბურთელი გამოდგეს.**

**ბრაზილიის** ქალაქ ბელუ-ორიზონტეს ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში მეორე წრის მატჩები გაიმართა. ლისაბონის „ბენფიკამ“, წინა თამაში რომ წააგო „კრუზეიროსთან“ 1:4, ამჯერადაც სამი ბურთის სხვაობით დამარცხდა „ფლამენგოსთან“ — 2:5. ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში ლიბერტადორესის თასის ფინალისტის „კრუზეიროს“ მეორე გუნდმა 1:0 დაამარცხა პარაგვაის „ოლიმპია“. იტალიის „მილანმა“ მეორე შეხვედრაშიც ფრე ითამაშა — ამჯერად „კორინტიანსთან“ — 0:0.

**საფრანგეთის ჩემპიონი ხვალ მეორე დივიზიონის გამარჯვებულ „შატორუს“ მასპინძლობს. მეტოქეებმა პირველ ტურში სამ-სამი ქულა დაკარგეს და ახლა მათ ანაზღაურებას შეეცდებიან. ჟან ტიგანას გუნდს ამ მატჩის წინ მცველი მარტინ ჟეტუ და ნახევარმცველი სილვან ლეგვინსკი დაუბრუნდა. ვიქტორ იკპებამ თქვა, ანდერსონი ძალიან დაგვაკლდება, მაგრამ თამაში უმისოდაც შეიძლებაო. ტიერ ანრიმ კი, გაგვიჭირდება სონის დროინდელი შეტევის აღდგენაო. მანვე თანაგუნდელებს სიფრთხილისკენ მოუწოდა — „შატორუს“ დასაკარგი არაფერი აქვს, თავქუდმოგლეჯილნი არ შეგვიტევენ, მაგრამ მეტად სახიფათო კონტრშეტევებს მოგვიწყობენო.**

**ალბანეთს** ფიფას და უეფას წარმომადგენლები ეწვივნენ. მათი მთავარი მიზანი იყო, შეემოწმებინათ, შესაძლოა თუ არა ქვეყანაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრის ჩატარება. უეფას წარმომადგენელმა პერ რავ ომდალმა ქვეყნის ხელისუფლებასთან და ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებთან შეხვედრის მერე განაცხადა, დღესდღეობით ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია საერთაშორისო თამაშის საშუალებას არ გვაძლევს, ამიტომ გადავწყვიტეთ, ალბანეთმა ჩრდილო ირლანდიას, გერმანიის და უკრაინის დარად, ესპანეთში „უმასპინძლოსო“.

**ინგლისის ნაკრების ექსმცველი, მაღალი ზანგი კარლტონ პალმერი ამ დღეებში სასამართლოში დაიბარეს, ბარში გამომთვრალხარ და 18 წლის გოგონასთვის ხელი ფეხებშუა შეგიცურებიაო. „ლიდსის“ მცველმა იუარა. დადგინდა, რომ 31 წლის პალმერმა, ამხანაგებთან ერთად ქალაქის ერთ-ერთ ბარში რომ ილხენდა, გოგონას მაცდუნებელ ფეხებს ვერ გაუძლო და... მართლმსაჯულებამ ფეხბურთელს დაზარალებულის სასარგებლოდ 938 გირვანქის გადახდა დააკისრა. პალმერის ადვოკატებმა კი განაცხადეს, საქმეს ასე არ დავტოვებთო.**

**იტალიელმა** პაოლო დი კანიომ, შარშან „სელტიკში“ თამაშისას შოტლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად რომ აღიარეს, კარიერის გაგრძელება ალბიონზე ისურვა და გლაზგოდან „შეფილდ უენსდეიში“ გადაბარგდა. შარშანდელ ბრწყინვალე სეზონის მერე მას „სელტიკის“ თავკაცობასთან ურთიერთობა დაეძაბა და გაცლა ამჯობინა. გლაზგოელთა გენერალურმა მდივანმა ჯოკ ბრაუნმა განაცხადა, დი კანიო შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ აუტანელი ხასიათი აქვს, ასეთები კი ჩვენთან ფეხს ვერ იკიდებენო. თანამემამულე ბენიკო კარბონის შემდეგ დი კანიო „შეფილდ უენსდეის“ მეორე იტალიელი იქნება.

**ინგლისში უკვე 43-ე დღეა მიმდინარეობს ბოლო 30 წლის მანძილზე ქვეყნის საფეხბურთო სამყაროში მომხდარი უდიდესი სასკანდალო საქმის ხელახლა განხილვა. მართლმსაჯულების წინაშე წარდგენილნი არიან: 35 წლის ჯონ ფაშანუ, 34 წლის ჰანს სეგერსი, 39 წლის ბრიუს გრობელაარი და აზიური სინდიკატის 32 წლის წარმომადგენელი ჰენგ სუან ლიმი. მათ ბრალად ედებათ 1991-94 წლებში რამდენიმე ათეული ათასი დოლარის სანაცვლოდ პრემიერლიგის მატჩების შედეგების გაყალბება რამდენიმე აზიური ტოტალიზატორის სასარგებლოდ. თებერვალში დაწყებულმა პირველმა სასამართლომ ბრალდებულებს დანაშაული ვერ დაუმტკიცა, მოსამართლე საქმეს ჩამოაშორეს. ჯერ კიდევ ივნისის შუა რიცხვებში დაწყებული სასამართლო ამჯერადაც ვერ ამტკიცებს მათ დანაშაულს. ამ დღეებში მსაჯულებმა ორი დღით შეწყვიტეს სხდომა განაჩენის გამოსატანად, თუმცა, არასაკმარისი სამხილებელი მასალების გამო საბოლოო ვერდიქტზე ხელს ვერ აწერენ.**

**უელსის** ნაკრების მწვრთნელს ბობი გოულდს ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ, ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერგაყვანის მიუხედავად, კონტრაქტი 1999 წლის 31 დეკემბრამდე ანუ ევროპის 2000 წლის ჩემიონატის შესარჩევი ციკლის დამთავრებამდე გაუგრძელა.

# პელე vs ჟოაო

ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო ავალანჟმა ამ დღეებში სენსაციური განცხადება გააკეთა — თუ ბრაზილიის სპორტის მინისტრის პელეს წაყენებული ბრალდებები ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მიმართ მართალი აღმოჩნდა, მაშინ ფიფა საგანგებო სხდომას მოიწვევს, სადაც გადაწყდება, ითამაშებს თუ არა ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზეო. „პელემ განაცხადა, რომ ჩემპიონატში მონაწილე კლუბები კორუფციაში არიან გარეულნი, მსაჯები ქრთამებს იღებენ, ჩემპიონატი კი მარიონეტთა თეატრს დაემსგავსა. პელეს თქმით, ამაში დამნაშავენი ფედერაციის თავკაცები არიან. თუ ეს ბრალდებები დამტკიცდა, მაშინ ქვეყნის ფეხბურთის ხელისუფალთა სერიოზული საფრთხე დაემუქრებათ და ესაა“ — განაცხადა ავალანჟმა, რომლის სიძე რიკარდო ტეიშეირა ბრაზილიური ფეხბურთის მმართველ ორგანოს თავკაცობს. პელემ ბრალი პირადად ტეიშეირასაც დასდო და თქვა, სწორედ მისი ჩარევის შემდეგ მოხდა, ლიგიდან გავარდნილი „ფლუმინენსე“ და „ბრაგანტინო“ წელსაც უმაღლესში რომ თამაშობენო. ფეხბურთის მეფემ ტეიშეირას კიდევ ბევრი ცოდვა გაუხსენა, თუმცა, მის მიმართ ოფიციალური ბრალდება კორუფციაში მონაწილეობის თაობაზე ჯერ არ წაუყენებია.

პელესა და ავალანჟს შორის კონფლიქტი 1993 წელს დაიწყო, როცა მსოფლიოს ერთადერთმა სამგზის ჩემპიონმა განაცხადა, კონკრეტული პიროვნებების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ბრაზილიურ ფეხბურთში ისეთი კორუფციაა გამეფებული, როგორიც არსად არ არისო. ამას ავალანჟის განრისხება მოჰყვა და ჟოაომ პელე მსოფლიოს 1994 წლის ფინალური ეტაპის წილისყრაზე არ დაპატიჟა.

## გაფიცვა დასრულდა

**არგენტინაში** გუშინ დასრულდა საფეხბურთო ლიგის გაფიცვა, რომელიც ერთ-ერთი კლუბის — „დეპორტივო ესპანიოლის“ ექვსი ფეხბურთელის, კლუბთან კონტრაქტის დამთავრების მიუხედავად, სხვა გუნდებში გადასვლის აკრძალვის გამო დაიწყო. საქმე სასამართლოშიც გაირჩა, თუმცა უშედეგო ცდების შემდეგ მართლმსაჯულებმა იფიქრეს, ესენი არ ხუმრობენო, პირველად მიღებული გადაწყვეტილება — ფეხბურთელები ფეხს ვერსად მოიცვლიანო — შეცვალეს. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ექვსივე მოთამაშეს სხვაგან გადასვლის ნება დართო. მოთამაშეებმა კი თავკაცებს აღუთქვეს, ჩემპიონატს უმალვე განვაახლებთო.

## მიტოვებულნი

**ნიგერიის** ნაკრებმა დააგვიანა ტუნისში ოთხთა ტურნირზე ჩასვლა. მსოფლიოს ჩემპიონატზე მათი გამყვანი ფრანგი მწვრთნელის ფილიპ ტრუსიეს გუნდიდან წასვლის გამო. ფრანგი ქვეყნის ფეხბურთის მამებთან კონტრაქტის პირობებზე ვერ შეთანხმებულა და ნიგერიელებს უარი სტკიცა. სანამ ფედერაცია მწვრთნელთან ურთიერთობას გაარკვევდეს, მანამდე ნიგერიელ „არწივებს“ დროებით მწვრთნელებად მონდი სინკლერი და ჯეიმს პეტერსი დაუნიშნეს. მოგვიანებით ნაკრების ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მიუხედავად დაგვიანებისა, ისინი მაინც ჩავლენ ტუნისში, სადაც მათთან ერთად კამერუნი და ზამბია ითამაშებენ.

# ჩამესვენა ნანტის მზე?

ევროპელ ფეხბურთელთა უმეტესობა ჯერაც შვებულებით ტკბება, ფრანგებმა კი, გერმანელების დარად, ჩემპიონატის მეორე ტურს მოუკაკუნეს. ამ ტურის ორი შეხვედრა დღეს გაიმართება, ასე რომ, ურიგო არ იქნებოდა, ცხრვე წყვილის შესახებ ერთი-ორი სიტყვა გვეთქვა. „რენი“ — „ლიონის“ დღევანდელი შეხვედრით დავიწყოთ. სტუმრებმა, შესაძლოა, „მეცთან“ შინ 0:1 დამარცხებისას არნათამაშევი მცველი სტეფან როში დაიძატოხ, მასპინძლებმა კი, არაა გამორიცხული, გასულ სეზონში დაწყებული საშინაო მატჩების ბრწყინვალე სერია გააგრძელონ და დღეს გერმანელი ფორვარდი პატრიკ ვაიზერიც პირველად ათამაშონ. დღესვე გაიმართება მეტად საინტერესო შეხვედრა 1995 წლის „დუბლის“ ავტორ „ოსერსა“ და ბოლო სამი სეზონის ვიცე-ჩემპიონ პსჟ-ს შორის. მასპინძლებს პირველ ტურში „ლანსთან“ 0:3 წაგების მერე რეაბილიტაცია მოუწევთ, რაშიც ტრავმამოშუშებული მეკარე ლიონელ კარბონეც დაეხმარებათ. აი, პარიზელებს კი ლეონარდოს სახით დანაკლისი ექნებათ. ეს კი არა, დღეს ახალშეძენილი ედმილსონიც ვერ ითამაშებს. ხვალინდელი მატჩებით მეორე ტური დამთავრდება. „ბასტია“ — „გინგამის“ შეხვედრაზე კი ის შეიძლება ითქვას, რომ კორსიკელებს დაუბრუნდათ ლიბერიელი ფორვარდი პრინს დეი, რომელსაც დისკვალიფიკაციის გამო „ნანტთან“ არ უთამაშია. „მონაკო“ — „შატორუს“ შეხვედრაში უცილობელი ფავორიტები მასპინძლები არიან, მითუმეტეს, ჟეტუთი და ლეგვინსკით გაძლიერებულნი. ქვეყნის მეორე დივიზიონის გამარჯვებულები კი პირველ ორ ტურში ორ ლიდერთან შეხვედრის მერე ალბათ თავის თამაშსაც ანახებენ. „კანი“ — „ტულუზის“ შეხვედრაში მასინძლებს შესაძლოა მეკარე გრეგორი ვიმბი დააკლდეთ. მათ მწვრთნელი ადიკ კუტი კი დარწმუნებულია, რომ „ტულუზი“ ბევრ ლიდერს გაამწარებს. „მეცი“ — „ბორდოს“ შეხვედრა უდავოდ საინტერესო უნდა გამოვიდეს, თუმცა სტუმრებს კიკი მუსამპა, სილვიან ვილტორი და რომან ფერიერი არ ეყოლებათ. „მარსელი“ — „ნანტის“ მატჩიც დიდ ინტერესს იწვევს და არა მარტო საფრანგეთში. საინტერესოა, გამართლდება თუ არა „ნანტზე“ გავრცელებული ჭორები, მაგ გუნდის მზე ჩაესვენაო? მასპინძლებს ტედი ბერტონი არ ეყოლებათ, თუმცა დაუბრუნდათ დისკვალიფიკაციამოხდილი ფრედერიკ ბრანდო. აი, სტმრებმა კი, შესაძლოა, ხავიერ მაზონი და სამბა ნდიეი მოისაკლისონ, თუმცა მათაც ჰყავთ შენამატი — მცველი ერიკ დეკრუა, ვინაც ტრავმამ გატანჯა. „ლე ავრი“ — „მონპელიეს“ შეხვედრაში გამარჯვება მასპინძლებს უწინასწარმეტყველებენ. ისინი საფრანგეთისა და პსჟ-ს ყოფილი თავდამსხმელით სირილ პოკეთი, მისი ახალგაზრდა კოლეგის ლეონელ პრატით და მცველ მარინოს უზუნიდისით გაძლიერდნენ, სტუმრებს კი პირველ ტურში სტრასბურში გატანილ გოლის ავტორს კოტდივუარელ იბრაჰიმ ბაკაიოკოს დიდი იმედი აქვთ. „სტრასბური“ — „ლანსის“ მატჩში მასპინლებს თავდასხმის შესანიშნავი წყვილის დევიდ ზიტელი და პასკალ ნუმა ეიმედებათ, სტუმრები კი იმედოვნებენ, რომ შარშანდელი სეზონის დასაწყისში ნაჩვენებ შედეგს — ზედიზედ ოთხ მოგებას არათუ გაიმეორებენ, გადააჭარბებენ კიდეც.



REUTERS პარიზიდან

„ოსერთან“ პრინციპულ მატჩში მარკო სიმონე პარიზელთა მთავარი იმედია



## კამერაში ვარ:...

არა, მთლად მასეც არაა საქმე, მაგრამ კუნძულ ჯერსის სასამართლომ „მანჩესტერ სიტის" ყოფილი ფეხბურთელი პიტერ ბიგრი მაინც დამნაშავედ სცნო. როგორც დავით მჭედლიშვილმა ლონდონიდან გვაცნობა, ორშაბათს სასამართლომ განაჩენი გამოიტანა და ფეხბურთელს იმ ქალის (იხილეთ წინა „სარბიელი") შეურაცხყოფისთვის 6 თვიანი პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ მთლად არ გასწირა — სასჯელი პირობითია, ანუ, თუ ამ დროის განმავლობაში ბიგრი კიდევ ვინმეს შეურაცხყოფს ან საერთოდ, რაიმე ცუდს ჩაიდენს, ის მართლაც ციხეში აღმოჩნდება. ამასთან ერთად, ფეხბურთელი 120 საათი საზოგადოებისთვის სასარგებლო რაიმე საქმით უნდა „გაერთოს". ცხადია, უფასოდ.



## ბიჭო, გიორგი

ზემოთ ნახსენებ სასამართლოზე გამოძახების მიუხედავად, გიორგი ქინქლაძის რეპუტაცია მაინც არ შელახულა. ამის დასტურია ინგლისიდან მიღებული შემდეგი ინფორმაცია:

„გაზეთი „თაიმსი" ყოველწლიურად აქვეყნებს ინგლისში დაბადებულ ბავშვთა ყველაზე პოპულარულ სახელთა სიას. 90-იან წლებში ასეთებად თომასი, ჯეკი და დანიელი იყო მიჩნეული, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, რომ ბოლო ხანს მანჩესტერში დაბადებულ ბავშვთა სახელებში მალე გიორგი დაწინაურდეს". ამ სურათზეც ჩვენებური ქალაქის ახალ მოქალაქე Georgi (დიახ, ზუსტად ასე და არა ინგლისელთათვის ტრადიციული George) ნორბურნთანაა გადაღებული. იტყობინებიან, რომ ბავშვის მამას, „სიტის" და ქინქლაძის გულშემატკივარ როდ ნორბურნს სხვა სახელის გაგონებაც კი არ მოსურვებია.

## რუსეთი

გამოტოვებული მატჩები. როსტსელმაში — ლოკომოტივი (ნიჟნი ნოვგოროდი) 3:1; კრილია სოვეტოვი — დინამო 0:1; სპარტაკი — ტორპედო 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 21 | 12 | 5 | 4 | 32:14 | 41 |
| როტორი | 21 | 12 | 4 | 5 | 39:20 | 40 |
| დინამო | 21 | 11 | 7 | 3 | 24:11 | 40 |
| ტორპედო | 21 | 10 | 4 | 7 | 32:24 | 34 |
| ლოკომოტივი | 21 | 8 | 9 | 4 | 26:19 | 33 |
| ჩერნომორეცი | 21 | 8 | 8 | 5 | 23:20 | 32 |
| როსტსელმაში | 21 | 7 | 10 | 4 | 22:16 | 31 |
| ალანია | 21 | 9 | 3 | 9 | 34:24 | 30 |
| ბალტიკა | 21 | 6 | 12 | 3 | 22:15 | 30 |
| ქემჩუჟინა | 21 | 8 | 5 | 8 | 21:24 | 29 |
| კრილია | 21 | 7 | 6 | 8 | 15:18 | 27 |
| ზენიტი | 21 | 6 | 8 | 7 | 11:18 | 26 |
| შინიკი | 21 | 6 | 8 | 7 | 18:26 | 26 |
| ცსკა | 21 | 6 | 5 | 10 | 18:29 | 23 |
| ტიუმენი | 21 | 5 | 5 | 11 | 16:26 | 20 |
| კამაზი | 21 | 6 | 1 | 14 | 24:44 | 19 |
| ნ. ნოვგოროდი | 21 | 5 | 3 | 13 | 15:32 | 18 |
| ფაკელი | 21 | 4 | 3 | 14 | 12:25 | 15 |

## გერმანია

II ტური

**დუისბურგი 1:0 შალკე**

1:0 შტეფენი (54)

**ლევერკუზენი 3:2 ბოხუმი**

0:1 იურანი (36), 1:1 კირსტენი (60), 2:1 მეიერი (68), 2:2 დიკჰაუტი (82), 3:2 რამელოვი (85)

**არმინია 2:1 შტუტგარტი**

0:1 აკპობორი (43), 1:1 ალი დეი (69), 2:1 შტერნკოპფი (82)

**მიუნხენ 1860 2:2 კარლსრუე**

0:1 გილევიჩი (11), 1:1 ბენდერი (23), 2:1 ბოდენი (69), 2:2 დანდი (87)

**ვერდერი 1:1 ჰანზა**

1:0 ვან ლენტი (23), 1:1 მაიაკი (67)

დანარჩენი ოთხი მატჩი წუხელ გაიმართა.

# დაუმს ნერვებს უშლიან



REUTERS ლევერკუზენიდან

ლევერკუზენი — ბოხუმი. მასპინძელთა მეორე გოლის ავტორს, ერიკ მეიერს (მარცხნივ) ბურთს თომას შტიკროტი ეცილება

ბუნდესლიგა ტრადიციას არ ღალატობს და ფრიად მოულოდნელი შედეგებით სეზონის დასაწყისშივე გვაოცებს. სამშაბათს გამართული ხუთი შეხვედრიდან ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, ცხადია, ლევერკუზენისა გახლდათ, თუმცა ეს მატჩი ბოლოსთვის შემოვინახოთ, მანამდე კი ორიოდ სიტყვით დანარჩენებზეც ვთქვათ.

დღის ულამაზესმა გოლმა მატჩის მსვლელობისას დაწინაურებული „შტუტგარტი" შეიწირა: ერთ დროს მიუნხენის „ბაიერნში" მოთამაშე ნახევარმცველმა მიხაელ შტერნკოპფმა 30 მეტრიდან ისე დააქუხა, სტუმართა მეკარე არც განძრეულა. უბრალოდ, აზრიც არ ჰქონდა და „შტუტგარტი" შინ უქულოდ გაემგზავრა. არანაკლებ ეფექტური იყო „არმინიას" პირველი გოლი, ალი დეიმ რომ შეაგდო: ირანელმა საჯარიმოს ხაზთან კარისკენ ზურგშექცეულმა მიიღო ბურთი, ორი მცველი ორი მოძრაობით გააქვავა, — „სეზამო", ალბათ, შესძახა და სტუმართა კარი აილო. „ჩვენ ინდივიდუალურ ორთაბრძოლებში ვერ ვუვარგეთ. „არმინიამ" დამსახურებულად მოიგო" — თქვა „შტუტგარტის" მწვრთნელმა იოახიმ ლოევმა.

შეგირდების თამაშით არც უეფას თასის მფლობელი „შალკეს" ჰოლანდიელი მწვრთნელი ჰუბ სტევენსი იყო კმაყოფილი. „ჩვენმა ფეხბურთელებმა დაივიწყეს, რომ ფეხბურთი მხოლოდ ფეხით თამაშს არ ნიშნავს და ხანდახან ბურთს თავიც უნდა დაუხვედრო" — სტევენსის გაცხარების კონკრეტულ მიზეზს ვერ მოგახსენებთ, ფაქტი კი ერთია — „შალკემ" დუისბურგში წააგო.

ახლა კი ლევერკუზენშიც ჩავიდეთ და ჩვენი მეტოქეც დავზვეროთ. ეს თამაში არა მარტო ჩვენთვის იყო გამორჩეული — თვით ბერტი ფოგთსი ესწრებოდა მატჩს, რომელმაც, ალბათ, კრისტოფ დაუმს რამდენიმე წლის სიცოცხლე მოაკლო, რადგან მსაჯმა მასპინძლები ექსტრემალურ პირობებში გამოსცადა — სამი აშკარა პენალტი არ დაუნიშნა და ამას ორი არჩათვლილი გოლიც დაამატა. და მაინც, „დინამოს" მეტოქემ მოიგო, თუმცა ყველაფერი რიგით მოვყვეთ.

„ბოხუმი" თავიდანვე საკუთარ ნახევარზე გამაგრდა, თუმცა, რომ არა მსაჯი და ემერსონის უზუსტო დარტყმა ხეირიანი პოზიციიდან, სტუმართა ტაქტიკა დებიუტშივე ჩაიფუშებოდა. მალე საჯარიმოში შეჭრილი დანიელ ნახევარმცველი იან ჰაინცე დასცეს ბოხუმელებმა, არბიტრმაც კვლავ თვალი დახუჭა, მაგრამ ულფ კირსტენი იყო ფხიზლად — ბურთი ფეხთ იგდო და გაიტანა კიდეც. იზეიმა კიდეც, მაგრამ თანამსაჯის აქნეულმა ალამმა გარჯა წყალში ჩაუყარა. ჯანდაბასო, გაიფიქრა კირსტენმა, ვისაც თამაშის წინ გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი მინი-ზარბაზანი უფეშქაშეს, თუმცა, როცა სამიოდ წუთში ბაინლიხის მარცხნიდან ჩაწოდებულს ჰაერში შესწვდა, ბურთიც ეფექტურად კარში გაუშვა და საქმეში ისევ თანამსაჯი ჩაერია, მთლად გადაირია. კიდევ კარგი, ის ზარბაზანი ოდენ პრიზის მოვალეობას ასრულებსო — იმ დროს ალბათ გაიფიქრა ალმის ქნევის მოყვარულმა შაოსანმა.

განერვიულებულ მასპინძლებს სულ მალე მთლად თავში ხელისსაცემად გაუხდათ საქმე: ბოხუმელთა შეტევა მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებით და სერგეი იურანის გოლით დამთავრდა. ამ ეპიზოდში რუსმა ლევერკუზენელთა ხორვატ მცველ რობერტ კოვაჩს დაასწრო.

მეორე ტაიმიც „ჩვეულად" დაიწყო — მსაჯმა ბოხუმელი მცველის საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაში ვერ შენიშნა, მაგრამ ცხადი იყო, კირსტენს იმ დღეს მაინც ვერაფერი გააჩერებდა — 60-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა და გააყაიმა, რვა წუთში კი „ბაიერი" დაწინაურდა კიდეც: ექს-ბავარიელი მეკარე უვე გოსპოდარეკი ბაინლიხის პასის ჩასაჭრელად საჯარიმოს ხაზთან გამოვარდა, აქ კი ჰოლანდიელმა ერიკ მეიერმა დაასწრო და — 2:1. „ბოხუმი" წინ წავიდა და მასპინძელთა მცველებმა, ისევე როგორც წინა, „შალკესთან" თამაშისას, შეცდომათა კასკადი მოაწყვეს. ჯერ ბუნდესნაკრების წევრი დარიუშ ვოში დატოვეს მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ჰაინენმა ივაჟკაცა, მერე კი უკვე მირკო დიკჰაუტი გამორჩათ მხედველობიდან და ამანაც გაათანაბრა. დამთავრებამდე შვიდი წუთი რჩებოდა.

მაგრამ „ბაიერი", ჩვენდა სამწუხაროდ, ბოლომდე თამაშობს: ორ წუთში მარცხნიდან პირდაპირ მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდებული აუტი კარსტენ რამელოვმა სამი მეტრიდან ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

**გიგა ქობახიძე**

# ლიპი: ქეცბაია საუკეთესოა!

„იუვენტუსმა" საუკუნოვანი იუბილის ლამის ყოველ კვირას აღნიშვნა რომ დაიწყო, ამაზე ადრეც მოგახსენეთ, ჩეზენაში „ნიუკასლთან" გამართულ ამხანაგურ მატჩზეც გიამბეთ, მაგრამ ამ შეხვედრისადმი ჩვენი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ გადავწყვიტეთ, კვირის შეხვედრას კვლავ მივბრუნებოდით. რატომ? ამას ახლავე შეიტყობთ.

ის მატჩი ტურინელებმა 3:2 მოიგეს. ანგარიშიდან გამომდინარე, კაცი იფიქრებს, ერთობ დაძაბული თამაში ყოფილაო, მაგრამ ასე სულაც არ გახლდათ. „იუვენტუსი" უკვე მეორე წუთზე იგებდა 2:0-ს ჩირო ფერარასა და ფილიპო ინძაგის გოლებით. მერე პატარა წაიბურთავა და შესვენებამდე ანგარიში იმავე ინძაგიმ გამანადგურებელი გახადა. დაახლოებით ერთი საათი, არცერთ ინგლისელს არაფერი უკეთებია, გარდა ერთი ნიუკასლელისა.

მაინც ვინ იყო ის, ერთი გამრჯე „ბრიტანელი"? ვინ და თემურ ქეცბაია! არა, ამას იმიტომ სულაც არ ვამბობ, რომ იგი ჩვენიანია. უბრალოდ, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის შესანიშნავი თამაში გულშემატკივრებს კი არა, თვით უდიდეს ტაქტიკოსს, მარჩელო ლიპისაც არ გამორჩენია. აკი განაცხადა კიდეც მატჩის მერე — ერთი საათის განმავლობაში ჩვენ შესანიშნავად ვითამაშეთ და ერთადერთი, საფრთხეს რომ გვიქმნიდა, თემურ ქეცბაია იყოო. ისე, „იუვენტუსთან" თემურს ძლიერად ადრეც უთამაშია — 1992 წელს უეფას თასის პირველ ეტაპზე ჩვენებურის მაშინდელმა კლუბმა კვიპროსის „ანორთოსისმა" ორივე მატჩი ცხადია საშინელი ანგარიშით დათმო (შინ — 0:4, გარეთ — 1:6) ტურინელებთან, მაგრამ თემურის შესანიშნავი თამაში და განსაკუთრებით „სტადიო დელე ალპიზე" გატანილი ბრწყინვალე გოლი იტალიელ ფეხბურთის სპეციალისტებს არ გამორჩენიათ.

„იუვენტუსი" — „ნიუკასლის" საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა „პიპო" ინძაგიმ კი, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და ტურინულ კლუბში გოლი გაიტანა. სწორედ ამის გამო ხარობდა მატჩის შემდეგ სერია A-ს გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი. „ამაზე კარგი რა უნდა მომხდარიყო. ძალიან მიხარია, გოლები რომ გავიტანე. რამდენიმე მატჩში თავი ვერ გამოვიჩინე და ავფორიაქდი, დღეის შემდეგ კი აღარ ვინაღვლებ. ვგონებ, ფორმაში შევდივარ. ერთადერთი ჩემი ტიტული საუკეთესო ბომბარდირობაა. აქ მოსვლამ კი რწმენა ჩამინერგა, რომ პირადულის გარდა ჯილდოებს და თასებს საკლუბო დონეზეც მოვიხვეჭ". ინძაგი ლიპიმაც აქო. თქვა — კარგი ბიჭია, გოლეადორობის ნიჭიც მოსდგამს. უბრალოდ, თავისებურად ითამაშოს და ყველაფერი აეწყობაო. ლიპიმ არც გუნდის მიმართ დაიშურა საქებარი სიტყვები — ამ მატჩში ბრწყინვალედ ვითამაშეთ, სწორედ ისე, როგორც მოვითხოვე: „ჩემპიონატი მალე დაიწყება, თუმცა სანაღვლო არაფერი მაქვს. მზადების პერიოდი კარგად გამოვიყენეთ და მშვენიერ ფორმასაც მივაღწიეთ. ასე რომ, პირველობას იმედიანად ვხვდები. ვიცი, „მილანი", „პარმა", „ლაციო" და „ინტერი" საკმაოდ გაძლიერდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სკუდეტოს შენარჩუნება ძალგვიძს."

ჩეზენაში გამართული შეხვედრიდან ორი დღის შემდეგ ბოლონიაში არანაკლებ საინტერესო მატჩი შედგა. მასპინძელთა ბაჯოთი გაძლიერებული გუნდი მილანის „ინტერს" მასპინძლობდა. სტადიონი პირთამდე გაიჭედა: შეხვედრას 32 ათასი მაყურებელი დაესწრო. ერთმანეთს ორი მე-10 ნომერი დაუპირისპირდა — ბაჯო და რონალდო, რომლებიც მატჩამდე ნახევარი საათით ადრე ფოტოგრაფთათვის პოზიორობდნენ. სტუმრები უძლიერესი შემადგენლობით ჩაფრინდნენ ბოლონიას. აი, მასპინძლებმა კი ნაკრებში სათამაშოდ გაფრენილი შვედი კენეტ ანდერსონი მოისაკლისეს. შეხვედრა ერთობ საინტერესო გამოდგა. ორივე 10 ნომერმა შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანეს. მათ ნაცვლად ფეხი იტალიის ბომბარდირმა მაურიციო განცმა იჟუკაცა და 30-ე წუთზე ჯორკაეფის შესანიშნავი გადაცემით შეხვედრის ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი შეაგდო. შესვენების მერე რობერტო შეცვალეს, 70-ე წუთზე კი რონალდოს ნაცვლად ურუგვაელი ალვარო რეკობა შევიდა მინდორზე. მანამდე ბრაზილიელმა ნიგერიელი კანუს უზუსტესი პასის შემდეგ მეკარე ბრუნერთან პირისპირ გასულმა ბურთი მაყურებლებს შესწირა.

შეხვედრა რომ დამთავრდა, ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე მიიწვიეს. კითხვებს ჯიჯი სიმონისა და რენცო ულივიერის გარდა ბაჯომ და რონალდომაც უპასუხეს. რობერტომ პირად გეგმებზე ისაუბრა, რომელთაგან უმთავრესად მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ნაკრებში მოხვედრა ჩათვალა. მსოფლიოსა და ევროპის 1993 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა საუბრის ბოლოს დასძინა, ამერიკაში პენალტებით წაგებულ ფინალს რომ ვიხსენებ, ტანში სულ ჟრუანტელი მივლისო. იტალიელთათვის იმ ავადსახსენებელ მატჩზე კი რონალდომ თქვა, ის დღე ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ტკბილად მოსაგონარი და ყველაზე ნაღვლიანიაო. კარგი რატომ იყო, ამას გარკვევა არ დასჭირვებია, მაგრამ — რას ნაღვლობდიო, რომ ჰკითხეს, რონალდომ უპასუხა, მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, მაგრამ წუთი რაა, ისიც არ მითამაშიაო.

სანამ ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იტალიაში მომავალ გეგმებზე საუბრობდა, ფიფამ ამ ყმაწვილკაცისთვის კიდევ ერთხელ მოიცალა და „ბარსელონასა" და „ინტერს" შეუთვალა, 4 სექტემბერს ქაიროში ამ საკითხის გამო სხდომა დავნიშნეთ და კეთილი ინებეთ, ჩამობრძანდითო. იქვე ეწერა, კლუბების პრეზიდენტებმა და წარმომადგენლებმა სამ ადვოკატზე მეტი არ იახლოთო.

ჰო, იმის თქმა კინაღამ დაგვავიწყდა, რომ ბოლონიის მატჩს „სკუადრა აძურას" მწვრთნელი ჩეზარე მალდინი ესწრებოდა.

სანამ უმდიდრესი კლუბები ფეხბურთელების გამო ვერ მორიგებულან, შედარებით სუსტებს სულ სხვა პრობლემები აწუხებთ. იტალიის თასის მომგები „ვიჩენცა" ლონდონის ერთმა ფინანსურმა ჯგუფმა რომ შეიძინა, ამაზე თავის დროზე მოგახსენეთ. ჰოდა, გამდიდრებული კლუბის საბჭოს თავმჯდომარემ სტეფან იულიუსმა სტადიონის მთლიანად დაქვემდებარება გადაწყვიტა და ქალაქის მერს შეეხმიანა, „რომეო მენტი" 99 წლით ჩვენ გადმოგვეცი, სანაცვლოდ ტევადობას 20 ათასიდან 28 ათასამდე გავზრდით და თან ვიჩენცაში სუპერრესტორანს, სუპერმარკეტს და კინოთეატრს ავაგებთო. ქალაქის მერმა მარინო კერეზიმინიმ მიუგო, ეგ მარტო ჩემი გადასაწყვეტი არააო და დასძინა, ქალაქის მმართველობა საერთო ენას თქვენთან მაშინ გამონახავს, თუ შემოთავაზებულ წინადადებას ზედ 11. მილიონ დოლარს დაურთავთო. ამან იულიუსი განარისხა — სტადიონი ლამისაა დაინგრეს და ესენი კიდევ მილიონებს ითხოვენო. მოკლედ, მოლაპარაკება პირველ ცდაზე უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა აგვისტოს მიწურულს მხარეები მეორედაც შეხვდებიან ერთმანეთს.

და კიდევ: სანამ ბევრი იტალიელი ფეხბურთელი სხვა ქვეყნებში გადადის, ერთმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა — ეს გახლავთ მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი სალვატორე „ტოტო" სკილაჩი. აგერ უკვე სამი წელია, სკილაჩი იაპონიის ჯეი-ლიგის კლუბ „ჯუბილო ივატას" ღირსებას იცავს, მაგრამ სამხრეთელს იაპონელების მონოტონური ცხოვრება მობეზრდა და მეგობარ ინგლისელ დიაცთან ერთად სამშობლოში დაბრუნება მოისურვა.

ასეა — ზოგი მიდის, ზოგიც მოდის...

**ლაშა გოდუაძე**

## ოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ?

ალბანეთის ჩემპიონატი კი განახლდა, მაგრამ ერთ-ერთი კლუბი — „შკიპონია" იმდენად ღარიბი აღმოჩნდა, რომ ქალაქიდან ქალაქში წასასვლელი ფული ვერ გამონახა და პირველობას გამოეთიშა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გეორგ ტაკამ განაცხადა, თუ მოხდა და კლუბს თანხები გამოუჩნდა, ქვეყნის უმაღლეს ლიგაში ადგილი შეუნარჩუნდებაო. ახალი ჩემპიონატი 13 სექტემბერს უნდა დაიწყოს, ეხლა კი გუნდები 1996-97 წლების პირველობას ამთავრებენ, რომელიც სამოქალაქო ომის გამო თებერვალში შეწყდა. ორშაბათს ცოცხალ-მკვდარი ჩემპიონატის სამი მატჩი გაიმართა: ფლამურტარი — ვლაჟნია 1:1, ტირანა — შკუმბინი 2:0, აპოლონია — პარტიზანი 0:4.

## ფრთხილად, პოლიციელია

ინგლისის დამნაშავეობასთან მებრძოლმა სამსახურმა გუშინ სიხარულით ამცნო ქვეყნის მოსახლეობას, რომ, რაც წლები გადის, პრემიერლიგის მატჩებზე მათ მიერ დაჭერილ ხულიგანთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდება. ამის მაგალითიც მოიყვანეს: 1992-93 წლების სეზონში პოლიციელებმა 6 327 ფანი დააკავეს, შარშან კი — მხოლოდ 4 400. ეს პროგრესი უმეტეს სტადიონებზე დამონტაჟებული ვიდეოკამერებით და სამოქალაქო ფორმაში გადაცმულ წესრიგის დამცველთა სანიმუშო მოქმედებით ახსნეს.

## სასტიკი აზიელები

აზიის ფეხბურთის კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა პიტერ ველაპანმა განაცხადა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თამაშებზე, რომელიც 6-18 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს ინდონეზიაში, დოპინგ კონტროლი ძალიან მკაცრი იქნება და შემოწმებაზე ჩავარდნილებს სამუდამო დისკვალიფიკაცია არ ასცდებათო. მასპინძელთა გარდა თამაშებში ტაილანდი, ბირმა, კამბოჯა, ბრუნეი, სინგაპური, ვიეტნამი, მალაიზია და ლაოსიც მონაწილეობენ.

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

## საფრანგეთის ჩემპიონატი. II ტური

8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — გინგამი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| მონაკო — შატორუ | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| კანი — ტულუზა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| მეცი — ბორდო | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| მარსელი — ნანტი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| ლე ავრი — მონპელიე | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| სტრასბური — ლანსი | 1,5 | 3,0 | 5,0 |

## გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 აგვისტო | | | |
| ბოხუმი — დუისბურგი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| შტუტგარტი — ლევერკუზენი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| 9 აგვისტო | | | |
| კარლსრუე — არმინია | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| შალკე — დორტმუნდი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| კიოლნი — კაიზერსლაუტერნი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ბაიერნი — ვოლფსბურგი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ვერდერი — მიუნხენ 1860 | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ჰანზა — ჰამბურგი | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| 10 აგვისტო | | | |
| ჰერტა — მიონხენგლადბახი | 1,9 | 2,9 | 3,0 |

## გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. III ტური

8-11 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიურტი — ცვიკაუ | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| უნტერჰახინგი — ფორტუნა | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| მეპენი — დიუსელდორფი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ურდინგენი — ვატენშაიდი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| აინტრახტი — კიკერსი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| კარლ ცაისი — კოტბუსი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ლაიპციგი — ნიურნბერგი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ზტ. პაული — მაინცი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| გიუტერსლო — ფრაიბურგი | 1,8 | 3,0 | 3,2 |

## ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. I ტური

9 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ვესტ ჰემი | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| ბლეკბერნი — დერბი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ქოვენთრი — ჩელსი | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| ევერტონი — კრისტალ პალასი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ლიდსი — არსენალი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ლესტერი — ასტონ ვილა | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ნიუკასლი — შეფილდ უენსდეი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| საუთჰემპტონი — ბოლტონი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ტოტენჰემი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| უიმბლდონი — ლივერპული | 2,5 | 2,8 | 2,2 |

## ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. I ტური

9 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — სტოკი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ბრედფორდი — სტოკპორტი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ბერი — რედინგი | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| სიტი — პორტსმუთი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| მიდლსბრო — ჩარლტონი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ნორვიჩი — ვულვერჰემპტონი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ოქსფორდი — ჰადერსფილდი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| პორტ ვეილი — ნოტინგემი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ქუნზპარკი — იფსვიჩი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| შეფილდი — სანდერლენდი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| სვინდონი — ქრიუ | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ვესტ ბრომვიჩი — ტრანმერი | 1,8 | 3,0 | 3,2 |

## რუსეთის ჩემპიონატი. XXII ტური

9 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი — ფაკელი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ცსკა — შინიკი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ბალტიკა — ალანია | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| კრილია სოვეტოვი — როტორი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ზენიტი — ჟემჩუჟინა | 1,6 | 3,2 | 3,8 |
| როსტსელმაში — დინამო | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ჩერნომორეცი — სპარტაკი | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| კამაზი — ტორპედო | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ტიუმენი — ნოვგოროდი | 1,6 | 3,1 | 4,0 |

## შვეიცარიის ჩემპიონატი. VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 აგვისტო | | | |
| გრასჰოპერი — ლუცერნი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| სიონი — ლოზანა | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| სტ. გალენი — კარუჟი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ქსამაქსი — არაუ | 1,4 | 3,3 | 5,0 |
| 10 აგვისტო | | | |
| კრინსი — ბაზელი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| სერვეტი — ციურიხი | 1,5 | 3,0 | 5,0 |

## თურქეთის ჩემპიონატი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 აგვისტო | | | |
| ტრაბზონსფორი — ვანსფორი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 9 აგვისტო | | | |
| გალათასარაი — ბურსასფორი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| სამსუნსფორი — ფენერბაჰჩე | 5,6 | 3,1 | 1,4 |
| ისთანბულსფორი — ქარაბუქსფორი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| 10 აგვისტო | | | |
| გენჩლერბირლიგი — ბეშიქთაში | 6,5 | 3,4 | 1,3 |

## CROCO-2

### ტირაჟი №52

1. შალკე — დორტმუნდი
2. ჰანზა — ჰამბურგი
3. ბარნსლი — ვესტ ჰემი
4. ქოვენთრი — ჩელსი
5. ლიდსი — არსენალი
6. ლესტერი — ასტონ ვილა
7. ტოტენჰემი — მანჩესტერ იუნ.
8. უიმბლდონი — ლივერპული

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე





საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ გოიაშვილს ვერეს აუზთან ვეწვიე, რომელსაც ამჟამად „ლაგუნა-ვერე" ეწოდება. შეუძლებელია, პრეზიდენტს ფედერაციის საქმიანობის შესახებ ესაუბრო და „ლაგუნა-ვერეს" გვერდი აუარო — ჯერ ერთი, ბატონი ვლადიმერი სააქციო საზოგადოება „ლაგუნა-ვერეს" გენერალური დირექტორია, მეორეც, საწყლოსნო სახეობების ჩვენებურ მიმდევართა ძველი მიღწევები და სამომავლო პერსპექტივები მჭიდროდ უკავშირდება ვერეს საწყალოსნო კომპლექსს. საუბარიც, სწორედ „ლაგუნა-ვერეთი" დავიწყეთ.

# ამ წყალში ფული გადაიყრება

**— ბატონო ვლადიმერ, ცნობილია, რომ „ლაგუნა-ვერეს" ერთ-ერთი მეწილე უცხოელი ბიზნესმენია. იქნებ გაგვაცნოთ თქვენი პარტნიორი?**

— „ლაგუნა-ვერეს" დამფუძნებლები არიან გერმანელი ბიზნესმენი ვოლფგანგ დოკერელი, ფირმა „დოკ-თბილისი" და საწყლოსნო კომპლექსი „ვერე". დოკერელი 2 წლის წინ თბილისში იყო, იგი ჰამბურგელი იღბლიანი საქმოსანია და სურდა, საქართველოში დაებანდებინა თავისი კაპიტალის ნაწილი. თავიდან ჯართითა და საკვები პროდუქტებით დაიწყო. როცა ჩემთან, აუზზე მოიყვანეს და გავიცანი, ერთ საათში საქართველოს პრეზიდენტს უნდა შეხვედროდა. ნახა აუზი, ეტყობა, ძალიან მოეწონა და როცა ედუარდ შევარდნაძეს თავისი ინტერესების სფეროში შემავალი ობიექტები ჩამოუთვალა, ყველასთვის მოულოდნელად „ვერეც" ახსენა. თუ ნებას დამრთავთ, აუზის პრივატიზაციაში მივიღებ მონაწილეობას, ვიცი, აუზი დიდ მოგებას არ მომცემს, მაგრამ იქ ფულის დაბანდებით ქართველ ხალხს პატივი მინდა ვცეო — უთქვამს პრეზიდენტისთვის დოკერელს. ედუარდ შევარდნაძესაც მოეწონა გერმანელი ბიზნესმენის იდეა, ამიტომ „ვერე" აუქციონის წესით გასაყიდი ობიექტების სიიდან ამოიღეს და მოხდა მისი პრივატიზაცია.

**— რა თანხა გაიღო დოკერელმა „ვერეს" პრივატიზაციისთვის?**

— 3 წლის მანძილზე მილიონი დოლარი უნდა დააბანდოს კომპლექსში, მაგრამ, ვფიქრობ, ეს თანხა არ არის საკმარისი, რათა „ლაგუნა-ვერე" ევროპულ სტანდარტებს გაუტოლდეს. ამიტომ სხვა დამფუძნებლებიც ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად შევეხიდოთ დოკერელს და „ლაგუნა-ვერე", რაც შეიძლება მალე, ევროპული აუზების დარი გავხადოთ.

**— „ლაგუნა-ვერე" პრესტიჟულ აუზად ითვლებოდა. ახლა, როცა თბილისში სხვა აუზები, ფაქტობრივად, აღარ მუშაობს, ან მხოლოდ ზაფხულობით ახერხებენ ცურვის მოყვარულთა მასპინძლობას, ყველა კატეგორიის ხალხი მოაწყდა თქვენს კომპლექსს. მეც ვხედავ, რომ ხალხმრავლობაა. ყველას მიუწვდება ხელი, რომ თქვენს აუზში იბანაოს?**

— ფასები ნამდვილად ხელმისაწვდომია, ამიტომ აუზი ყოველთვის გალატვირთულია. ამას გარდა, აფხაზეთში ნაომარ ბიჭებს, სხვადასხვა კატეგორიის ავადმყოფებს, ვისი განკურნებისთვისაც ცურვა აუცილებელია, მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებს უფასოდ ვემსახურებით.

**— თქვენს აუზზე სპორტსმენთა თაობები გაიზარდა. სამწუხაროდ, დღეს სავალალო მდგომარეობაა — წყლის 4 სახეობაში ბოლო წლებში არანაირი მიღწევა არ გვქონია. თქვენ, საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ახალ პრეზიდენტს, იმედით შეგცქერიან სპორტის ქომაგები. „ლაგუნა-ვერეს" თანამფლობელი ბრძანდებით და თქვენს იმედად მყოფთაც არ გაემტყუნებათ. თავად რას ჰპირდებით მათ?**

— ფედერაციის პრეზიდენტობა ჩემთვის მძიმე ტვირთია. „ლაგუნა-ვერეში" უამრავი საქმე მაქვს, მაგრამ, ვცდილობ, ფედერაციასაც არ მოვაკლო ყურადღება. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი ჯანმრთელობის ხარჯზე ხდება. თანაც გული მწყდება, რომ ისეთი საწყალბურთო ტრადიციების ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ლამის ასტრონომიული ანგარიშით აგებს არცთუ ძლიერ გუნდებთან. მე ყველანაირად ხელს ვუწყობ ჩვენს წყალბურთელებს — ამასწინათ თბილისის „დინამომ" თვენახევარი ივარჯიშა ჩვენს კომპლექსში და ფული არ გადავახდევინე. ახლაც ერთთვიან შეკრებას გაივლიან დინამოელები და კვლავაც უფასოდ. წყალში მხტომელები — ელენე ნებიერიძე და გოჩა გვახარიაც აქ ვარჯიშობენ, ახალგაზრდა მხტომელებსაც ვუწევ შეღავათს — ათამდე საიმედო მოზარდი აქ ოსტატდება.

ერთსაც გეტყვით: მე დინამოელი ვარ, 45 წელია სპორტში ვარ და პრეზიდენტობამდეც არ მიკეთებია ნაკლები საქმე საწყლოსნო სახეობებისთვის. წარმოუდგენელია, ერთ აუზში დიდი ჩემპიონები გაიზარდნონ, თანაც სპორტის 4 სახეობაში. კი, ბატონო, ვინც გვყავს, იმათ ხელი უნდა შევუწყოთ, მაგრამ აქცენტი მაინც ახალგაზრდებზე უნდა გაკეთდეს. ადრე საქართველოში 150-ზე მეტი აუზი იყო, აფხაზეთში წყალბურთისა და წყლის სახეობების დიდი ტრადიცია იყო, აჭარაშიც არაერთი სახელოვანი სპორტსმენი გაიზარდა, ქუთაისში დიმიტრი ხორავამ რიონში მოჭყუმპალავე ბიჭები შეკრიბა, ლითოფონების ქარხნის წყალსაცავთან აუზი ააშენა და საჩემპიონოდ გამზადებული ბიჭები გამოგზავნა თბილისს. რუსთავში, ჭიათურაში, ტყიბულში, ხობში, გურჯაანში, თელავში მუდამ ხალხმრავლობა იყო აუზებზე, თბილისში, თქვენც იცით, რამდენი აუზი მუშაობდა. ამიტომაც იყო, რომ დიდი სპორტსმენები არ გვაკლდა. ეგეც არ იყოს, საქართველოში წყლის სახეობათა მწვრთნელების მხოლოდ ერთი პროცენტია დასაქმებული. აბა, თუ აუზები არ იმუშავებს, სასწავლო სპორტული ჯგუფები არ იქნება, როგორ გაიზრდებიან დიდი სპორტსმენები?

**— თქვენ ხომ მოახერხეთ აუზის შენარჩუნება და იგი დღემდე არ გაჩერებულა. სხვები რატომ არ ეძებენ, ვთქვათ, უცხოელ ინვესტორს ან სხვა საშუალებას, რათა აუზები აამოქმედონ, ეს ხომ მეპატრონისა თუ დირექტორისთვისაც ხეირია?**

— სახელმწიფოს არა აქვს საშუალება აუზები შეინახოს, ამიტომ ყველა მეპატრონემ აუცილებლად ინვესტორი უნდა მოიძიოს. სხვაგვარად არაფერი გამოვა. აგერ, ვაკის დახურული აუზი პრივატიზებულია, მაგრამ ვერ ახერხებენ მის ამუშავებას, რადგან ამას დიდი ფული სჭირდება.



„ლაგუნა-ვერე" — თბილისური ოაზისი

**— თქვენ არ შეგეძლოთ ვაკის აუზის პრივატიზაციაში მონაწილეობის მიღება? ბოლოს და ბოლოს, ამხელა გამოცდილება გაქვთ და სიტყვით მაინც შეეწეოდით მეპატრონეებს.**

— ვაკის აუზში გახსნის დღიდან — 1961 წლიდან ვმუშაობდი. 7 წელი დავყავი იქ. მერეც აუზის ყველა ხელმძღვანელთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა, ახლანდელთა ჩათვლით, მაგრამ აუზის პრივატიზაციის პერიოდში მე არავის გავხსენებივარ და არაფერს დამკითხვიან.

**— გამოდის, რომ თუ უცხოელი მილიონერები არ ჩავიზიარეთ, ისე ჩვენს აუზებს არაფერი ეშველება...**

— არა, ბატონო, რატომ მაინც და მაინც უცხოელები? უკეთესი არ იქნება, ქართველ კაცს თანამემამულესთან გქონდეს საქმე? კი, ბატონო, მოძებნონ ქართველი ბიზნესმენი, ფულს რომ არ დაიშურებს ამ საქმისთვის. ამას რა სჯობია.

ისე, ბევრ ქვეყანაში აუზები მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაშია და მათ ქალაქების ადგილობრივი მმართველობა აფინანსებს. ჩვენთან ეს ვერ ხერხდება — მოსახლეობა გადახდისუუნაროა, ადგილობრივ ბიუჯეტში ფული არ შედის, ამიტომ, ვერც ერთი ქალაქის თავკაცი ვერ შეძლებს აუზების შენახვას.

**— წელან ბრძანეთ, წყლის სახეობებში აქცენტი მომავალ თაობებზე უნდა გაკეთდესო. კი, ბატონო, მაგრამ მოქმედ სპორტსმენებს რა ვუყოთ? მათაც ხომ სჭირდებათ ყურადღება?**

— რამდენადაც შეგვეძლება, უნდა დავეხმაროთ მათ — ახლახან ორი ახალგაზრდა მოცურავე გლაზგოში გავუშვით, ევროპის ჩემპიონატზე. დაგეგმილია, რომ თბილისის „დინამომ" რუსეთის ჩემპიონატში იასპარეზოს საგაისოდ. ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდა წყალბურთელები რუსეთის ან უკრაინის ჩემპიონატებზე გავაგზავნოთ. დაეიანგარიშეთ — ახალგაზრდების ეს სიამოვნება 53 ათასი დოლარი დაჯდება, ფედერაციის წლიური ბიუჯეტი კი 50 ათასი ლარია. რამენაირად უნდა მოვახერხოთ, რომ ეს საქმე მოგვარდეს. თბილისის „დინამო" კი უფრო მეტ ხარჯებს მოითხოვს. მოკლედ, ვისაც მცირე შანსი მაინც აქვს, ვცილობთ, ყველა გზა გავუხსნათ წარმატებისკენ.

**— სინქრონული მოცურავენი საერთოდ არ გვიხსენებია...**

— აქ, რომ იტყვიან, ყველაფერი ნოლიდან უნდა დავიწყოთ — ერთი ხეირიანი სპორტსმენი არ გვყავს, ამიტომ, აქაც ბავშვებს უნდა მივხედოთ.

**— წყლის 4 სახეობიდან სამში ნაკრები არ გვყავს. ესეც დამაფიქრებელია.**

— წყალბურთის გარდა ძლიერი ეროვნული ნაკრები სხვა სახეობებში არც გვყოლია, მხოლოდ ერთეული სპორტსმენები ბრწყინავდნენ. საწყალბურთო ტრადიცია კი უნდა აღდგეს, მაგრამ, მოდით, ნუ ვიჩქარებთ ეროვნული გუნდის შექმნას — საქართველოს ნაკრებად წოდებულმა ჩვენმა წყალბურთელებმა ამასწინათ საფრანგეთში სასაცილოდ დიდი ანგარიშით წააგეს შეხვედრები. ასე არ შეიძლება, ეს ხომ ქვეყნის ავტორიტეტის შელახვაა. მოდით, ჯერ მინიმუმი გაკეთდეს, თბილისის „დინამო" და სხვა გუნდები მომძლავრდნენ და მერე ვილაპარაკოთ ეროვნული ნაკრების შექმნაზე. ეს ეხება მოცურავეებს, წყალში მხტომელებსა და სინქრონისტებს.

**— ზოგი ჩვენი წყალბურთელი უცხოურ კლუბში წავიდა. იქნებ სხვებისთვისაც შეგეწყოთ ხელი და უცხოეთში დაგესაქმებინათ, იმავე ეროვნულ ნაკრებს ეს ხომ სასიკეთოდ წაადგებოდა.**

— მე არ ვამტყუნებ წასულებს. ჩომახიძე იტალიაშია და მშვენივრად თამაშობს. სპორტული ცხოვრება ხანმოკლეა — 10-15 წლიანი და ბიჭებმაც რა ქნან, წარმატებები და გამარჯვებები სწყურიათ. საქართველოში დარჩენით იმავე ჩომახიძეს არც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, არც ოლიმპიადაზე წასვლის შანსი ექნებოდა, ძლიერი ჩემპიონატი და ევროტურნირებიც ოცნებად დაურჩებოდა, ახლა ევროტურნირებში ასპარეზობის შანსი მაინც მიეცა. წავიდნენ, შეძენილი ცოდნა და ამაღლებული ოსტატობა ჩვენი ქვეყნის ნაკრებს მოახმარონ, რომელიც ხვალ თუ ზეგ უეჭველად გვეყოლება.

**ლევან ჯავახიშვილი**
**ბადრი ქეთილაძე (ფოტო)**




სამხრეთაფრიკელი მარიუს კორბეტი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა და შავი კონტინენტის თეთრი რეკორდსმენიც

# ბერძნები ტაშს არ იშურებენ

## ყოფილი საბჭოელები კი ერთმანეთს ჭორავენ

დასაწყისი პირველ გვერდზე

მეორე ადგილზე იამაიკელი სანდი რიჩარდსი გავიდა (49,79), მესამეზე ამერიკელი ჯერლი მაილს-კლარკი (49,90).

— მართალია, თავს გამოცდილ სპორტსმენად არ ვთვლი, მაგრამ, ვგონებ, ამჯერად ჩინებული ტაქტიკა ავირჩიე. მახსოვს, თავიდან მეტოქეს ზურგში მივდევდი, შემდეგ კი, კარგად გააზრებულიც არ მქონდა, წინ რომ გავიჭერი და აღმოვაჩინე, რომ სხვებს გვარიანად ვუსწრებ — უთხრა სტადიონის მიქს-ზონაში შესულმა ოქროსმედალოსანმა გარსშემოხვეულ ჟურნალისტებს.

მიქს-ზონა, გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში იმ ადგილს ჰქვია, სადაც სპორტსმენებმა შეჯიბრების შემდეგ უნდა გაიარონ და სადაც ჟურნალისტებს თავისუფლად შესვლის უფლება აქვთ. ფრიმენი რომ ზემომყვანილ სიტყვებს ამბობდა, მე იქ არ გახლდით, რადგან იმ დროს გარეთ, სარბიელზე, ვაჟთა ნახევარფინალი ტარდებოდა 400 მეტრზე რბენაში. რას იზამს მაიკლ ჯონსონი? პირველ გარბენში, როგორც უკვე გაცნობეთ, მან ფინიშის ხაზი მეოთხემ გადაკვეთა და მხოლოდ ნაჩვენები დროის წყალობით გააღწია ნახევარფინალში. ამჯერად სხვაგვარად მოხდა, ჯონსონს, ეტყობა, წინაზე ელდა ეცა და ახლა სერიოზულად მიუდგა საქმეს. 44,37 წამით მან შეიდივე კონკურენტი ჩამოიტოვა. საინტერესოა, რომ ამ გარბენში მეოთხეზე გასულმა ივან ტომასმა დისტანცია იმავე დროში გაირბინა, რა დროშიც მეორე ნახევარფინალის გამარჯვებულმა ამერიკელმა ტაირი ვაშინგტონმა — 44,61. მართლაც დიდი სხვაობა იყო ორ ჯგუფს შორის. მეტყველია ის გარემოებაც, რომ ფინალში მხოლოდ სამი ქვეყნის მორბენლები გავიდნენ, ოთხი ამერიკელი, სამი ბრიტანელი და ერთი უგანდელი. თანაც ბრიტანეთს ამ სახეობაში სულ სამი ათლეტი ჰყავდა — შედეგიც ამას ჰქვია.

400 მეტროსანთა ფინალს ქვემოთ დავუბრუნდებით, ახლა კი კიდევ ერთი ნახევარფინალი და ალჟირელი ნურედინ მორსელი ვახსენოთ. საქმე ეხება 1500 მეტრზე სირბილს. მორსელი მეორე ნახევარფინალურ გარბენში მონაწილეობდა. ცნობილმა სპორტსმენმა დისტანცია 3:38.82 წუთში გაირბინა და ფინიშთან პირველი მივიდა. მეორე იყო ესპანელი რეიეს ესტევესი (3:38:86), მესამეც ესპანელი, ფერმინ გაჩო გახლდათ. სულ მეორე გარბენიდან ფინალში შვიდნი გავიდნენ (ხუთი მოპოვებული ადგილით, ორი — დროით), პირველი გარბენიდან კი მხოლოდ საუკეთესო ხუთეულმა მიიღო ფინალში ასპარეზობის უფლება, რადგან ეს გარბენი უფრო ნელი გახლდათ. აქ პირველზე გასული მაროკოელი ჰიჩამ ელ გერუის დრო 3:38:92 გახლდათ. ეს შედეგი კი მეორე გარბენის მეხუთე კაცს ჰქონდა.

სამწუხაროდ, პრესის ლოჟა სამხტომელთაგან შორს იყო. მე ცენტრალურ ტრიბუნაზე, კუთხურის ალამთან ვზივარ, სამხტომელი ქალები კი მინდორსგადაღმა ასპარეზობდნენ. კიდევ კარგი, ჟურნალისტებს მაგიდაზე ტელევიზორი გვიდგას და თან სტადიონის ტაბლოც ტელევიზორობს. საკმაოდ საინტერესო ფინალი გამოდგა, მაგრამ მასში რუს ანა ბირიუკოვას მონაწილეობა არ მიუღია. იგი პირველსავე რაუნდში დაშავდა და კოფისას ჰოსპიტალში გააქანეს. იმ დღეს, ბირიუკოვამ ტრავმა რომ მიიღო, ჩემთან, რატომღაც, ვიღაც რუსი ჟურნალისტი მოვიდა და მთხოვა, ამ ამბავს რომ ახსენებ, ისიც დაურთე, დაშავებულ და იმედგაცრუებულ ანასთან წაბლად ერთი თანაგუნდელიც რომ არ მისულა, ნუგეშის სიტყვა არავინ გაიმეტაო. აგერ, ბატონო, შევასრულე რუსის თხოვნა.

მსოფლიოს ჩემპიონი კი ეშხიანი ჩეხი ქალი სარკა კასპარკოვა გახდა. მაქსიმალურ შედეგს, 15,20 მეტრი, მან მეხუთე ცდისას მიაღწია. აღსანიშნავია, რომ კასპარკოვას გარდა 15 მეტრს ვერავინ გადასცდა. მეორე ადგილზე გასული რუმინელის, აშოლტილი როდიჩა მატეესკუს 14,90, მართალია, ეროვნული რეკორდი გამოდგა, მაგრამ მსოფლიოს მწვერვალს არ ეყო. მესამეზე სეზონში თავისი საუკეთესო მიღწევით უკრაინელმა ელენა გოვოროვამ დაიბევა ადგილი — 14,67.

უმედლოდ დარჩა ოლგა ვასდეკი. ამ ბერძენ ქალს თანამემამულეები დიდი ყიჟინით ამხნევებდნენ. ოლგამაც პასუხად ქვეყნის რეკორდი დაუმყარა მხარდამჭერთ, თუმცა საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა. მისი შედეგი გახლდათ 14,62.

რაც შეეხება მსოფლიო რეკორდს, იგი ხელუხლებელი დარჩა. უკრაინელი ინესა კრავეცის მიერ გეტებორგში დამყარებული 15 მეტრი და 50 სანტიმეტრი ძველებურად რეკორდია. ეს კი ორი წლის წინ იყო.

სამხტომზე საუბარს ბერძენი მაყურებლის ქებით დავამთავრებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახეობაში საკუთარი სპორტსმენი ჰყავდათ, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, დიდი თავგამოდებით ქომაგობდნენ, ისინი სხვებსაც უჭერდნენ მხარს. ასეთი ალალი, სპორტული სულისკვეთება აუ, რამდენი ხანია აღარ მინახავს. სთხოვდა მავანი მხტომელი, ტაშით გამამხნევეთო, და გულითადი ათენური პუბლიკაც დიდი მონდომებით აქეზებდა მთხოვნელს. აქეზებდნენ ყველას, მათ შორის სარკა კასპარკოვასაც და უნდა გენახათ, რა აღფრთოვანება გამოხატეს, კასპარკოვა კარგად რომ გადახტა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გახარებულმა კასპარკოვამ ჩეხეთის დროშასთან ერთად ბერძნულიც ააფრიალა. ეს, ცხადია, მადლობა გახლდათ. ეკუთვნოდათ კიდეც.




400 მეტრზე რბენაში ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა იოლად, მას რომ ეკადრება, ისე გაიმარჯვა

პატარა გადახვევა: ყველაზე მეტად რა მომწონს, იცით? ყოფილი საბჭოეთის სპორტსმენები ერთმანეთზე როგორ ჭორაობენ. კოლეგებისგან ვიტყობ, რომ ეს იმას დოპინგით გაჭყეპილ მოარულ აფთიაქს უწოდებს, ის ამას ძველ ცოდვებს უხსენებს და ასე შემდეგ. ასეთებს რომ ვისმენ, ძველი ქართული ჰიტი ამეკვიატება ხოლმე: რა კარგი იყავ მაშინ, ერთად ვიყავით როცა... სულ მინდა, რომ ვუმღერო.

დასწყევლოს ღმერთმა ის საზიზღარი, წითელი ქვეყანა. სჯობს, ჩვენს სათქმელს მივყვეთ. შვიდჭიდში 6739 ქულით გამარჯვებულმა გერმანელმა საბინ ბრაუნმა განაცხადა, ასე იოლად არასდროს გამიმარჯვიაო და სასტუმრო პირეოსში ქეიფი გამართა. მეორეზე გასულმა დენიზ ლუისმა 6654 ქულა დააგროვა და ბრიტანეთს მორიგი ვერცხლი შემატა, 6566 ქულიანი ბრინჯაო კი რეგინა ნაზაროვიენემ წაიღო ლიტვაში.

1 500 მეტრზე მორბენალმა ქალებმა საგანგებო ვერაფერი შემოგვთავაზეს. წესითა და რიგით, პორტუგალიელ კარლა საკრამენტოს უნდა გაემარჯვა და ასეც მოხდა. 4:04.24 წუთი კარლასთვის სეზონის საუკეთესო და, რაც მთავარია, მსოფლიო ოქროს მომხვეჭი გამოდგა. მეორე ამერიკელი რეგინა ჯეკობსი გახლდათ — 4:04.63, მესამე კი შვეიცარიელი ანიტა ვაიერმანი — 4:04.70. და სვეტლანა მასტერკოვა? იკითხავთ თქვენ. ატლანტის ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი ნახევარფინალშივე გამოეთიშა შეჯიბრებას. მიზეზი: მარჯვენა ფეხის ადრეულ ტრავმას, ათენში, ერთ-ერთ პირველ ვარჯიშზე, მარცხენისაც დაემატა. ბუნებრივია, ამან შედეგზე იმოქმედა.

— თავს ვერაფრით გავიმართლებ. საკვალიფიკაციო შეჯიბრების დღე მართლაც ჩინებული იყო. ფინალი კი საძაგელი. ჩემი ერთადერთი პრობლემა გახლდათ ის, რომ ტექნიკამ მიმტყუნა. ისე კი, გულახდილად გეტყვით, ვერ გავიგე, რატომ დართეს ბორის ჰენრის საკუთარი შუბებით ტყორცნის ნება. დღეს მას ასეთი ორი ჰქონდა. განა ეს სამართალია? — დაიჩივლა მსოფლიოს ადრინდელმა ჩემპიონმა, რეკორდსმენმა და ოლიმპიური ოქროს მფლობელმა, ჩეხმა იან ჟელეზნიმ, როგორც კი ჟურნალისტები დაინახა. ეს შუბის მტყორცნელთა შეჯიბრების დამთავრებიდან ორ-სამ წუთში მოხდა.

და რას ერჩოდა მეცხრე ადგილზე გასული კაცი მექვსეზე გასულ გერმანელს? ამაზე ნამდვილად არ უფიქრია სამხრეთაფრიკელ მარიუს კორბეტს, რომელმაც შუბი 88,40 მეტრზე სტყორცნა და მსოფლიოს ოქროსთან ერთად შავი კონტინენტის რეკორდსმენის სახელიც დაიმკვიდრა. მეორე ბრიტანელი სტივენ ბეკლი გახლდათ — 86,80, ხოლო მესამე ბერძენი კოსტას გაციუდისი — 86,64. ჰელას, ჰელას — ყვიროდა სამშაბათ საღამოს საკმაოდ გავსებული, 75-ათასიანი ოლიმპიური სტადიონი. გაციუდისს შეეძლო და ასეთ პირობებში ვალდებულიც იყო მედალი მოეპოვებინა.

ათ კილომეტრზე მორბენალ ქალებში ადგილები ასე განაწილდა. პირველი — სალი ბარხოსიო (31:32.98), მეორე — ფერნანდა რიბეირო (31:39.15) და მესამე მასაკო ჩიბა (31:41.93).

არ დაგიმალავთ, მე ყველაზე მეტად 400 მეტრზე ვაჟთა გარბენს ველოდი. ისევ მაიკლ ჯონსონის საქმეში ხილვა მსურდა და ჯონსონმაც გაიმარჯვა. მივიდა, ნახა და გაიმარჯვა. გაიმარჯვა მსუბუქად, ლიდერთა ლიდერს რომ შეშვენის. გაიმარჯვა ასე: ჯერ წინ გაუშვა სხვები, შემდეგ კი გაასწრო და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. ნუთუ განზრახ? მისი შედეგი გახლდათ 44,12 წამი.

მეორე ადგილზე გასულმა დევის კამოგამ 44,37 წამით უგანდის რეკორდი დაამყარა, მესამემ, ჯონსონის თანამემამულემ, ამერიკელმა ტაირი ვაშინგტონმა კი საკუთარი — 44,39.

გადავხედოთ ჯონსონის შედეგებს. პირველი რაუნდი — 45,66, მეორე — 45,39, მესამე ანუ ნახევარფინალი — 44,37, ფინალი — 44,12. პროგრესი, პროგრესი, პროგრესი.

და ბოლოს, სიგრძეზე ხტომა. დავიწყებ იამაიკელი მორის ვიგნალით. ამ კაცმა ზედიზედ სამჯერ ვერ მოახერხა გადახტომა, რატომღაც უბრალოდ გაირბინა ქვიშაზე. ეს ძალიან საინტერესო სანახაობა, ცხადია, ვიგნალის შეჯიბრებიდან მოხსნით დამთავრდა. საკუთრივ შეჯიბრება კი დამთავრდა იმით, რომ კუბელმა ივან პედროსომ პირველსავე ცდაზე შესრულებული 8,42 მეტრით (შემდეგ ოთხჯერ ხაზს გადააბიჯა, ბოლოს კი 7,60-ზე გადახტა) მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიგო. მეორე იყო ამერიკელი, ბუნებრივია, ზანგი, ერიკ უოლდერი — 8,38, მესამე რუსი კირილ სოსუნოვი — 8,18.

ბერძენი მაყურებელი კი სპორტსმენთა გასამხნევებლად ტაშს არ იშურებდა.



1 500 მეტრზე ყველაზე სწრაფი ქალი კარლა საკრამენტოა. მას გვერდში ვიცე-ჩემპიონი რეგინა ჯეკობსი (მარცხნივ) და მესამეზე გასული ანიტა ვაიერმანი ამოსდგომიან



არგენტინის ქალაქ ჩაკოში დაიწყო 26 წლამდე მოჭადრაკეთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი. შეგახსენებთ, რომ წინა პირველობაზე სან პაულუში საქართველოს გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. არგენტინაში ქართველები ასეთი შემადგენლობით ასპარეზობენ: გიორგი ყაჭეიშვილი, რომელსაც უკვე მიენიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება, სანდრო დგებუაძე, რომან სიჭინავა, გიორგი ბახტაძე და აკაკი იაშვილი. შეჯიბრება შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ტარდება 4 დაფაზე. ერთი სათადარიგოა.

# დიდები ძალიან შორს წავიდნენ, პატარები „აქვე“, ტალინში

9 აგვისტოს ტალინში იწყება ევროპის პირველობები 10-დან 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის. საქართველოს გუნდი ესტონეთში საკმაოდ სოლიდური შემადგენლობით გაემგზავრა.

10 წლის მოჭადრაკეებში საქართველოს სახელით გამოვლენ: სალომე ჭოხონელიძე, ნანა ძაგნიძე, ნინო ადეიშვილი (სამივე ქუთაისი), მაკა ბაცაშვილი (ბათუმი), მაკა ფურცელაძე (გურჯაანი); დათო ურუშაძე, დათო ბარამიძე (ორივე თბილისი).

12 წლიანთა ტურნირში: მარიანა ჩხაიძე (თბილისი), ნათია ვაჩეიშვილი (ბათუმი); მიხეილ გოგუაძე, მიხეილ ქანთარია (ორივე ბათუმი), კონსტანტინე შანავა (წალენჯიხა), შალვა კაკულია (ქუთაისი), მერაბ გაგუნაშვილი (თბილისი).

14 წლიანთა ტურნირში: ლელა ჯავახიშვილი (თელავი), ინგა ჭარხალაშვილი (ქუთაისი), სოფიო გვეტაძე (თბილისი); ზვიად იზორია (ხონი).

16 წლიანთა ტურნირში: ანა მათნაძე (თელავი), თამარ ბალხამიშვილი, თინათინ ყველიაშვილი (ორივე თბილისი); ზვიად ქამადაძე (ბათუმი).

18 წლიანთა ტურნირში: ლილე ცალუღელაშვილი (თბილისი); ვახტანგ ჩიქოვანი, მიხეილ მჭედლიშვილი (ორივე თბილისი).

პირველობები 9 ტურად ჩატარდება და ევროპის 1997 წლის ჩემპიონთა ვინაობა 18 აგვისტოს გაირკვევა.

**ქოტე მგალობლიშვილი**

**ვაგროვებ**

საფეხბურთო პროგრამებს თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მატჩებიდან. მესაჭიროება ევროთასებზე „დინამოს“ პროგრამები: „ტვენტესთან“ (1971), მტკ-სთან, „კარდიფ სიტისთან“ (1976). აგრეთვე მჭირდება ევროთასებზე „დინამოს“ გასვლითი მატჩების, სსრკ ჩემპიონატის თამაშების (1936-70) და საქართველოს ნაკრების გასვლითი მატჩების (ბასკეთი 37; კვიპროსი 92, 96; მალტის ტურნირი 94; ლატვია 94; უელსი 95; ნორვეგია 96) პროგრამები. შესაძლებელია გაცვლა.

მისამართი: გლდანის მასივი. I მ-რ, 8 კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 31. ზაურ კიურჯიევი
ტელ: 67-09-31

**იყიდება**

დიღმის მასივის III კვარტალში 4-ოთახიანი სუფთა ბინა, ტელეფონით, სარდაფით, ორი სველი წერტილით.

ფასი შეთანხმებით

95 82 53 10 - 18 სთ.
72 37 22 18 სთ. შემდეგ

იკითხეთ პავლე

**იყიდება**

თეთრი, გამჭვირვალე

**ორგანული მინა.**

3 და 4 მილიმეტრიანი.
ზომები: 80x120 სმ და 120x170 სმ
ფასი შეთანხმებით
ტელეფონი: 95-22-56
38-60-88 (საღამოს საათებში)

# ველორბოლა



# გიგანტი ულა

> დაიბადა 1973 წლის 2 დეკემბერს როსტოკში.
> სიმაღლე: 183 სმ.
> წონა: 73 კგ.
> უცოლოა, ჰყავს მეგობარი — გაბი ვახსი.
> მეტსახელი: ულა.
> დედა — მარიანი, მამამ იანი პატარაობაში მიატოვა.
> ჰობი: ჩოგბურთი, მაგრამ მას მხოლოდ ზამთარში თამაშობს.
> ოცნება: პარაშუტისტობა.
> მანქანა: „ოპელ კალიბრა"
> საყვარელი მუსიკოსი: ჰერბერტ გრონემაიერი.
> საყვარელი კერძი: კარტოფილის პიურე.
> მიღწევები: მსოფლიოს ჩემპიონი მოყვარულთა შორის (1993), მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1994), გერმანიის ჩემპიონი (1995), ტურ დე ფრანსზე მეორე ადგილი (1996), გერმანიის ჩემპიონი (1997), ტურ დე ფრანსის გამარჯვებული (1997).

**„დღევანდელი თაობის მრბოლებიდან იან ულრიხი ყველაზე ნიჭიერია და უდიდესი შესაძლებლობა აქვს, არნახულ სიმაღლეებს მიაღწიოს თავისი სპორტული კარიერის მანძილზე" — თქვა ტურ დე ფრანსის ხუთგზის გამარჯვებულმა მიგელ ინდურაინმა. ულრიხმა მართლაც საოცრება მოახდინა, საოცრება, რომელიც აქამდე მხოლოდ ბორის ბეკერმა შეძლო — ველომრბოლს სულ ორი კვირა დასჭირდა იმისთვის, რომ სპორტის ეს სახეობა გერმანიაში პოპულარული გაეხადა. გაზეთმა „ბილდმა" მას „გიგანტი" უწოდა. ჩვენმა კოლეგებმა „შპორტ-ბილდიდან" კი უმალ ინტერვიუ ჩამოართვეს გერმანელთა ახალ კერპს, სადაც სპორტსმენი თავისი ძლიერი ფეხების საიდუმლოებასა და მეგობრებთან ურთიერთობაზე საუბრობს.**

**— შეიძლება თუ არა, თქვენ ტურ დე ფრანსის ლეგენდარული გამარჯვებულების — მერქსის, ანკეტილის, ინდურაინის გვერდით დაგაყენოთ?**

— არა. ეს ძალიან ნაადრევია. სისწრაფეში ტოლი არ მყავს და მთის მონაკვეთებზეც გარეული თხასავით ვგრძნობ თავს, მაგრამ გამოცდილება მაკლია. მე იმ ქარცეცხლში არ გამივლია, რაშიც მათ გაიარეს. არ მიწვნევია მწარე დამარცხება, რის შემდეგაც გსურს, ყველაფერს თავი მიანებო, მაგრამ მერე მაინც პოულობ საასპარეზოდ გამოსასვლელ ძალებს.

**იან ულრიხი ველომრბოლისთვის იდეალურთან მიახლოებული აგებულებისაა. მას თავის სიმაღლესთან შედარებით საოცრად გრძელი ფეხები აქვს. ქვედა ძვლის სიგრძე 52 სანტიმეტრია, ზედასი — 48. ფეხების ასეთი აღნაგობის წყალობით ულრიხი ენერგიას ტყუილუბრალოდ არ ფანტავს. მას მაღალი სიჩქარით შეუძლია რბოლა — პედლის ერთი გარშემოწერილობით 10,2 მეტრს გადის. იანის ფილტვების მოცულობა 6,04 ლიტრია, ისეთივე, როგორიც ინდურაინსა და მერქსს ჰქონდათ. დაწყნარებულ მდგომარეობაში მისი პულსი 32-ია, დატვირთვების დროს კი 190-ს აღწევს. ენერგიის საზომზე ულრიხს ნახევარი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ 550 ვატის გამომუშავება შეუძლია. შედარებისთვის: საშუალო დონის სპორტსმენს მხოლოდ ხუთ წუთს ძალუძს ოდენ 250 ვატის გამომუშავება და რაც მთავარია — ულრიხი ძალზე მალე აღიდგენს ფორმას.**

**— თქვენ გუნდის ინტერესებზე უფრო ზრუნავთ თუ საკუთარი წარმატებები გიზიდავთ?**

— ჩვენი კაპიტანი ბიერნე რიისია და გუნდმა მასზე უნდა „იმუშაოს". ის ჩვენი წინამძღოლია და ტაქტიკასა და სტრატეგიასაც დანიელი მრბოლი განსაზღვრავს, იგი ჩვენი მფარველია. როგორც ვთქვი, ახალგაზრდა ვარ და კაპიტნობამდე რამდენიმე ნაბიჯი კიდევ მაქვს გასავლელი.

**— თქვენ ინდურაინის დარად აქცენტს დიდ სპორტულ შეჯიბრებებზე გააკეთებთ და ნაკლებად მნიშვნელოვან ასპარეზობებს უგულებელყოფთ?**

— ალბათ, ასე იქნება, უფრო ჩემი ჯანმრთელობის გამო. ბავშვობიდან ცივ ამინდში უცებ ვცივდები და ამიტომ „დიდი მიგივით" პაპანაქება სიცხეში მირჩევნია ასპარეზობა.

**— თქვენს მეგობრებზე რას გვეტყვით?**

— გუნდში თითქმის ყველასთან ვმეგობრობ. მე და იენს ჰეპნერი შეჯიბრებების პერიოდში ერთ ოთახში ვცხოვრობთ. უდო ბოლტრი მთებში რბოლისას მეხმარება. ბიარნე რიისს კი მე შევუწყვე ხელი, შარშან ტურ დე ფრანსში რომ გაიმარჯვა. წელს მან „სამაგიერო" გადამიხადა. ერიკ ცაბელისთვის ჯგროდან გაქცევას ვაშზადებ ხოლმე. იენს ჰეპნერთან კი თავს კარგად ვგრძნობ, მან ტურზე ყველაფერი ჩინებულად უწყის და თუ რაიმე კითხვა დამებადა, მაშინვე მივმართავ ხოლმე. ჰეპნერმა ბელგიაში თავის სახლში დამპატიჟა, ორკვირიან შვებულებას მასთან გავატარებ.

**— ვინ ახდენს თქვენზე ყველაზე დიდ გავლენას?**

— ჩემი პირადი მწვრთნელი პეტერ ბეკერი, მას უნდა ვუმადლოდე, რომ ველომრბოლი გავხდი. ბეკერთან ყველაფერზე გულღიად შემიძლია საუბარი. მასთან ტირილსაც კი არ მოვერიდები.

**— რა გეგმის მიხედვით ვარჯიშობთ?**

— გეგმა პეტერ ბეკერმა და გუნდის ექიმმა ანდრეას შმიდტმა შეადგინეს. სეზონის დაწყებამდე დეკემბერ-თებერვალში სამხრეთ ესპანეთში და მალიორკაზე ვიმყოფებოდი და ვარჯიშებში 15 000 კილომეტრი გავლიე. ჩაუქობისთვის კლდეებზე რბოლით ვემზადებოდი.

**— როგორ იკვებებოდით ტურ დე ფრანსის განმავლობაში?**

— საუზმეზე, სტარტამდე სამი საათით ადრე, 300 გრამ ვერმიშელის ფაფას მივირთმევდი, გაზავებულს სოიოს მარცვლების ექსტრაქტთან. ვიტამინებს და აღმდგენ პრეპარატებს, შვიდ ლიტრ სითხეს, მინერალურ წყალს, ანაც ნახშირწყლებით მდიდარ ლიმონათს ვაყოლებდი. დღის მანძილზე მინიმუმ 8 000 კალორია უნდა მივიღო.

**— შემოსავლებზე რას გვეტყვით?**

— შეჯიბრში მონაწილეობისთვის განკუთვნილ პრემიებს თუ არ ჩავთვლით, წელიწადში 600 000 მარკას ვიღებ. გარდა ამისა, ჩემი სპონსორებისგან „ადიდასისგან", „ლიმასისგან" და „პროჯექტისგან" — 200 000-ს. ტურ დე ფრანსზე გამარჯვებული შემდეგ ასპარეზობებზე გამოსვლისთვის თითო ეტაპზე 30 000-დან 60 000 მარკას მიითვლის. ასე რომ, ჩემი წლიური შემოსავალი დაახლოებით 2 მილიონი მარკა იქნება.

**იან ულრიხისთვის უცხოა ვარსკვლავის ავადმოყოფობა და თვითგანდიდება. „ის მორცხვი და მორიდებული ყმაწვილია. იანს სულ უბრალო რამ ბავშვივით ახარებს და ახალისებს, მაგალითად, ერიკ ცაბელის მეხუთე ადგილი და ის, რომ მე წაქცევისა და ტრავმის შემდეგ მაინც შევძელი ასპარეზობის გაგრძელება" — ამბობს იენს ჰეპნერი.**

თარგმნა

**ერეკლე კიკილაშვილმა**

# ჩოგბურთი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აგასის ყველა ათრევს

**სან მარინოს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. თიხა. 275 ათასი დოლარი**

ფელიქს მანტია (1) — რიჩარდ ფრომბერგი 6:4, 4:6, 7:6 (7:5); ადრიან ვინეა — ალბერტ პორტასი (3) 3:6, 6:4, 6:0; ხავიერ სანჩესი (4) — მარციო მარტელი 6:3, 6:3; კარლოს კოსტა — ჰიშამ არაზი (5) 6:4, 6:3; დომინიკ ჰრბატი (6) — მარსელ კარპანტიე 7:6 (7:5), 6:2; მაგნუს გუსტაფსონი — მარსელო ფილიპინი (7) 6:2, 6:4; კრისტიან რადი (8) — იაკობო დიასი 6:2, 6:0; ჰენრიკ დრეეკმანი — ნიკოლა ლაპენტი 3:6, 6:3, 6:2; ანდრეი პაველი — იენს კნიპშილდი 6:3, 6:1; დევიდ სანგინეტი — ომარ კამპორეზე 6:1, 7:5; რენცო ფურლანი — ფრანკო სკილარი 6:2, 7:6 (7:4); ერნან გუმი — დინუ პესკარიუ 3:6, 6:3, 7:6 (7:4).

ესპანელმა ფელიქს მანტიამ, ამ ტურნირზე პირველ ნომრად რომაა განთესილი, ავსტრალიელ რიჩი ფრომბერგთან პირველ წრის შეხვედრის მესამე სეტში სამი სეტმოინტი გადაარჩინა და მეორე წრეში გააღწია, სადაც მისი მეტოქე დევიდ სანგინეტი იქნება. იტალიელი 1997 წლის იანვრისთვის ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში ოდენ 283-ე იყო, ახლა კი 91-მდე აღზევდა. სან მარინოს ტურნირს პირველი განთესილი ჩოგბურთელიც გამოაკლდა — ალბერტო პორტასმა რუმინელ ადრიან ვინეასთან წააგო. სალამოს გამართულ მატჩთაგან აღსანიშნია იტალიელთა უძლიერესი ჩოგნის რენცო ფურლანის გამარჯვება არგენტინელ სკილართან.

**აკურას ქალთა კლასიკური. ლოს ანჯელესი. ხისტი. 450 ათასი დოლარი**

არანტა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი, 5) — ნაოკო სავამაცუ (იაპონია) 6:2, 7:6 (7:4); ანკე ჰუბერი (გერმანია, 6) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:0, 6:1; ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — ირინა სპირლეა (რუმინეთი, 7) 6:4, 6:3; კიმბერლი პო (საფრანგეთი, 8) — მაგი სერენა (ესპანეთი) 7:5, 6:1; ვინუს ვილიამსი (აშშ) — ენ გროსმანი (აშშ) 6:0, 6:3; რუქსანა დრაგომირი (რუმინეთი) — ნაოკო კიჯიმუტა (იაპონია) 7:6 (7:2), 7:5; ემი ფრეზერი (აშშ) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:1, 6:0.

ესპანელ სანჩეს ვიკარიოსა და იაპონელ ნაოკო სავამაცუს მატჩის დროს თერმომეტრმა ფარენგეიტის საზომით 104 გრადუსს მიაღწია. გერმანელმა ანკე ჰუბერმა კი გაოცება ვერ დამალა ნორჩი კურნიკოვას ადვილად დამარცხების გამო. რუსთა ამომავალ ვარსკვლავს თანამემამულე ჰოკეისტის სერგეი ფიოდოროვის და ლეგენდარული უეინ გრეცკის ქომაგობამაც ვერ უშველა. „ვცდილობდი რაიმეს შეცვლას, მაგრამ არაფერი გამომდიოდა, ყველაფერი ძალიან სწრაფად მორჩა" — ვიშვიშებდა ანა. მართლაც, 16 წლის ლამაზმანის წლევანდელი 23 შეხვედრიდან ეს ყველაზე სასტიკი მარცხი იყო. ასაკის გამო ანას სეზონში მხოლოდ 13 ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვს, ამიტომ იგი აშშ-ის ღია პირველობამდე ვერ ითამაშებს, დიდი სლემის ეს ტურნირი კი 25 აგვისტოს იწყება. ანას თანატოლმა, ლოს ანჯელესში დაბადებულმა ვინუს ვილიამსმა კი თვისტომი ენ გროსმანი გააცამტვერა. ვილიამსს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი კობი ბრაიანტი ქომაგობდა. 17 წლის ექსტრავაგანტური ვარცხნილობის ზანგმა გამარჯვების მერე თქვა, მთელი ძალით ვთამაშობდი, თანამემამულეთა წინაშე თავის შერცხვენა არ მინდოდაო. ასპარეზობას პირველსავე წრეში გამოეთიშა ამ ტურნირის 1994 წლის გამარჯვებული რუსი ტატიანა პანოვა.

**გრეით ამერიქენ ინშურენსის ვაჟთა პირველობა. ცინცინატი. 2.050 ათასი დოლარი**

პირველი წრე: გუსტავო კერტენი (ბრაზილია, 10) — ანდრე აგასი (აშშ) 6:3, 6:1; სინგ შალკენი (პოლანდია) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია, 11) 7:6 (7:5), 6:3; ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 14) — ჯიმ კურიე (აშშ) 4:6, 7:6 (7:5), 6:3; იან სემერინკი (პოლანდია) — პიტერ კორდა (ჩეხეთი, 13) 7:5, 1:6, 6:1; ალექს კორეჩა (ესპანეთი, 4) — ჯონათან სტარკი (აშშ) 7:6 (7:4), 6:4; ჯასტინ გიმელსტობი — ბაირონ ბლექი 6:3, 6:4; კრის ვუდრაფი — სარგის სარგისიანი 6:2, 6:4; ფაბრის სანტორო — პატრიკ მაკინროი 6:0, 6:4; სკოტ დრეიპერი — რიჩი რენებერგი 1:6, 7:6 (7:3), 6:4; დანიელ ნესტორი — ალექ ობრაიენი 6:2, 6:1; არნო ბეჩი — უეინ ფერერა 6:3, 6:4; ტომას იოჰანსონი — კევინ ულიე 6:3, 3:6, 6:2; ვინს სპადეა — ტომას ენკვისტი (8) 7:6 (7:1), 3:6, 6:3; ანდრეი მედვედევი — მარკ ვუდფორდი 6:4, 1:6, 7:6 (7:4)

ამ ტურნირის ორგზის გამარჯვებული ანდრე აგასი სულ რაღაც 46 წუთში დამარცხდა გუსტავო კერტენთან, პირველ ბრაზილიელთან, რომელიც ATP-ს ვერსიით ათ საუკეთესო ჩოგბურთელებში მოხვდა. „უფრო ადვილად ვიმარჯვე, ვიდრე მოველოდი. ასე იოლად მოგებამ დიდად გამახალისა" — განაცხადა აღფრთოვანებულმა გუსტავომ. წელს მან მეორედ დაამარცხა ანდრე. პირველად ბრაზილიელმა თებერვალში, მემფისის ტურნირში სძლია ერთ დროს ნომერ პირველ ჩოგბურთელს, მაგრამ მაშინ ძლიერ გაუჭირდა. თავლაფდასხმულმა აგასიმ კი თქვა, თავად ვერ გამიგია, ასე საშინლად როგორ წავაგეო: „როცა გონება გამინათდა, უკვე 0:6 ვაგებდი. ამან გამტეხა და მარცხს თავი ველარ დავაღწიე. გუსტავოს კიდევ შევხვდები და ვაჩვენებ, რაც შემიძლია. ამჯერად კი მხოლოდ მოლოცვას დავკჯერდები." ტურნირს პირველსავე წრეში გამოაკლდა კიდევ რამდენიმე სახელოვანი ჩოგბურთელი: შვედი ტომას ენკვისტი, ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი და ჩეხი პეტერ კორდა, თუმცა, სამივენი, აგასისგან განსხვავებით, განთესილები იყვნენ. ბრწყინვალედ გაიმარჯვა ესპანელმა ალბერტო კორტამ ჯიმ კურიესთან, რომლის წარსული დიდებისგან ახლა კვალიღა დარჩა. „ვგონებ, ჩემი დრო წავიდა. ისეთი თამაში, როგორსაც მე ვაჩვენებ, დღევანდელი ჩოგბურთის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. ახლა მხოლოდ ვეტერანებში თუ ვივარგებ" — განაცხადა ჯიმმა.

**გაიოზ ბერიძე**

# ავტორალი

**IX ეტაპი**
**ახალი ზელანდია**
**2-5 აგვისტო**

# მატადორი ცხვარმა აჯობა

2-5 აგვისტოს გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის IX ეტაპი — ახალი ზელანდიის რალი. ასპარეზობა ძირითადად მოხრეშილ და გრუნტის გზებზე, ტყიან ადგილებში ტარდება. ფავორიტად შოტლანდიელი კოლინ მაკრეი ითვლებოდა, რომელიც ასეთ ტრასებზე რბოლის დიდოსტატი გახლავთ და 1993 წლის შემდეგ ახალ ზელანდიაში ზედიზედ სამჯერ მოუპოვებია გამარჯვება. სპორტსმენებს 3 დღეში 24 სპეც-ეტაპი უნდა გაევლოთ.

2 აგვისტოს გახსნის 2,10 კმ-იანი სუპერ-სპეციალური ჩქაროსნული ეტაპი სწორედ მაკრეიმ (სუბარუ) მოიგო და 2 წამით ჩამოიტოვა თანაგუნდელი კენეტ ერიქსონი. შარშანდელი ჩემპიონი და წლევანდელი გათამაშების ლიდერი ტომი მიაკინენი (მიცუბისი) და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი იუჰა კანკუნენი (ფორდი) ზუსტად ამდენით ჩამორჩნენ შოტლანდიელს, ხოლო ესპანელმა „მატადორმა" საინსმა (ფორდი) 4 წმ წააგო.

3 აგვისტოს პილოტებს 10 ჩქაროსნული ეტაპის გავლა ელოდათ. თავიდანვე მარეი დაწინაურდა. შოტლანდიელ მეტოქეობას ძირითადად ფინელი მიაკინენი უწევდა, მაგრამ მეოთხე ჩქაროსნულ ეტაპზე რბოლას გამოეთიშა. ამის შემდეგ მაკრეისთვის თითქოს აღარაფერს უნდა შეეშალა ხელი ზელანდიაში ბოლო 5 წლის განმავლობაში მეოთხე გამარჯვების მოპოვებაში, მაგრამ მე-8 ეტაპის მე-14 კილომეტრზე, როდესაც 57 წამს უგებდა მდევარს, მანქანამ უმტყუნა და პირველობა საინსს დარჩა. ესპანელმაც თავი არ შეირცხვინა და დღის ბოლოს უკვე 22 წამით გასწრო მე-2-ზე მყოფ შვედ ერიკსონს. მე-3-ზე კანკუნენი იყო. შარშანდელი გამარჯვებული (მაშინ რბოლა ჩემპიონატის ჩათვლაში არ შედიოდა) რიჩარდ ბარნსი (მიცუბისი) მეოთხე გახლდათ.

ესპანელის სიხარული ხანმოკლე გამოდგა. მომდევნო დღეს, ტე კორაპას ყველაზე გრძელ (47,43 კმ), ხრეშით დაფარულ ჩქაროსნულ მონაკვეთზე შვედმა ერიკსონმა 39 წმ-ით ჩამოიტოვა ესპანელი, ხოლო კანკუნენს 21 წმ-ით აჯობა. ამის შემდეგ „მატადორმა" მდგომარეობა ოდნავ გამოასწორა, მაგრამ დღის ბოლოს საერთო ჩათვლაში — 18 ეტაპის შემდეგ მაინც 8 წამს აგებდა „სუბარუს" მძღოლთან, მე-3-ზე მყოფი კანკუნენი კი — 32-ს.

რალის ბოლო დღეს პილოტებს 6 ჩქაროსნულ ეტაპზე უნდა ერბოლათ. ასპარეზობა საკმაოდ დაძაბულად წარიმართა, ერთ-ერთ ჩქაროსნულ ეტაპზე საინსი ცხვარს შეეჯახა და ამან შეაფერხა. ეს ვიწრო, მოხრეშილ გზაზე, ბრმა მოსახვევის შემდეგ მოხდა, როდესაც ესპანელის „ფორდი" 180 კმ-სთ სიჩქარით მიჰქროდა. ავარიის შემდეგ „ფორდს" მუხრუჭების მილი დაუზიანდა და მონაკვეთის დარჩენილი 36 კმ ეკიპაჟმა მუხრუჭების გარეშე განვლო, დროც ბევრი დაკარგა. მომდევნო ეტაპებზე საინსი ყველაზე სწრაფი გახლდათ, მაგრამ საერთო გამარჯვებისთვის ისიც სჭირდებოდა, მისი შვედი მეტოქე შემცდარიყო. ასე კი არ მოხდა — მართალია, ერიქსონს იმ დღეს არც ერთი ჩქაროსნული ეტაპი არ მოუგია, მაგრამ ახლოს მისდევდა საინსს და მე-3 ადგილზე დაამთავრა რბოლა.

საბოლოოდ ერიქსონმა 13 წამით აჯობა საინსს, ახალი ზელანდიის რალიში პირველად გაიმარჯვა და 10 ქულაც მიითვალა. მსოფლიო ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში კი 42 ქულით კვლავ შარშანდელი ჩემპიონი ტომი მიაკინენი ლიდერობს. ერიქსონმა ამ გამარჯვებით „სუბარუს" ლიდერობა შეუნარჩუნა, თავად კი მე-4-ზე გადაინაცვლა.

**ალეკო ჭაბუკიანი**

**პირადი პირველობა:**

| | |
|---|---|
| 1. ტომი მიაკინენი (ფინეთი) „მიცუბისი") | 42 ქულა |
| 2. კარლოს საინსი (ესპანეთი) „ფორდი" | 34 |
| 3. კოლინ მაკრეი (შოტლანდია) „სუბარუ" | 32 |
| 4. კენეტ ერიქსონი (შვეცია) „სუბარუ") | 24 |

**გუნდური პირველობა:**

| | |
|---|---|
| 1. „სუბარუ" | 74 ქულა |
| 2. „მიცუბისი" | 56 |
| 3. „ფორდი" | 55 |


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29